ეროვნული
ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ნახატებიანი

ჟურნალი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!..
ი. ბ.

№ VIII

წელიწადი მეშვიდე

ტფილისი

სტამბა მ. დ. როტინიანცისა || Тип. М. Д. Ротиніанцъ. Гол. пр., д. № 41.

1896.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою Тифлисъ, 8-го Августа 1896 года.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პაწაწა ქურდები.

—

ბარიბი კაცის კალთაზე
ხვავს არაფერი ესურა
და მსუქე ხორბლის საკენკათ
მიპარულიყო ბეღურა.

—

რომ გაიტენა ჩინჩახვი,
კუჭი სახეთქათ გაიძღო,
იგი ღობეზე შემოჯდა,
რაღაც ჭეიკ-ჭეიკი დაიწყო.

—

თურმე კუდრაჭა სხვა ჩიტებს
პურის ხვავისკენ იწვევდა
და მით მოკეთე-მეზობლებს
პატივის ცემას უწევდა.

—

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პატრონმა გულში გაჭფიქრა:
„მაშ თუ რა გიყო, დამაცა!
ოინბაზობას მიგიხვდი,
პატარავ, ქურდო-ბაცაცა!“

—

მართლაც, მოისმა იმავ წამს
ჩიტების გუნდის ფთხრიალი:
მზვერავის ხმაზე მოფრინდენ,
კალოს პირს იწყეს ტრიალი!..

—

სტუმარი სტუმრებს იწვევდა,
არსად ჩნდა პურის პატრონი:
„მოდითო და არხეინათ
ჭკენკეთ მარცვლები დიდრონი!“

—

ბეღურა ფრთხილი ჩიტია,
თქვეს: არ გვარგებსო ხუმრობა:
ვაი თუ ამოგვშხამდესო
დაუპატიჟი სტუმრობა!“

—

—„აქ არა ვარო!“—მზვერავმა,—
„მაგდენიც ალარ ვიციო!..
ფიქრი არ არის, მომეევით,
რატომ არა გწამთ ფიციო?“.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩიტები რომ ლხინს მიეცენ,
ხორბალში ჩადგეს ფეხია, —
აკი ღვთის რისხვა ეწიათ
და თავს დაეცათ მეხია!

—

„ახლა სად წახვალთ, ქურდებო,
ვისგან მოელით შველასო?!
ამ წამსვე თავებს წაგწუვეტთ და
ქვაბში ჩაგხოხბავთ ეველასო!...

—

„ეველა, ეველა და შენ, სკვინჩავ,
როგორ მოჭეევი ბადეში?
ხომ ელი დასჭერ შენ შვილებს,
ობლათ რომ დაგრჩენ ბუდეში?“.

—

ბადის ქვეშიდან კანკალით
სკვინჩამ კაცს უთხრა საბრალოთ: —
„მე დამნაშავე არა ვარ
და ნუ დამღუპავთ უბრალოთ!

—

„ჯერ ეური მიგდე, გიამბო
მე უტეუარი სიმართლე
და მერე, როგორც გნებავდეს,
იმ რიგათ გამასამართლე.

—

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ქორფა შვილები მეტირონს,
მრისხსვდეს მაღლა ღმერთიო,
თუ შენ კალოდან მარცვალი
ჰირში ჩამედოს ერთიო!..

—

„მე მხოლოდ რაღაც ეშმაკათ,
სულ ტყვილა მოვუევ ამათო!
და ნუ თუ მარტო ამისთვის
უნდა მომექცე ავათო?!“

—

—„არ შეგიწუალებ მაინცა,
შენ თავს დასდევი ბრალიო:
ხომ იცი მურალ ყვავილებში,
ვარდიც გახდება მურალიო!

—

„რათ აჭუევ ქურდს და ეშმაკებს,
როგორ ვერ მოხველ ფიქრსაო,
რომ ცუდის ქცევით ესენი
შენც მოგაცხებდენ ჩირქსაო?!“...

თეოფ. კანდელაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოდის, ნათდება!

ვინ ამბობდა ამას? სად ან როდის? ღამეა. თოვლით გადალესილა მთა-ბარი; სულ-შეხუთულია, ისე შებოჭილი, რომ დედა-მიწის ძვლებს ჭყრიალი, ჭახ-ჭახი გააქვს. ბუნება თითქოს კუბოში წევს, სუდარაში გახვეულა. არაფერი ხმა, არც მოძრაობა, არც ცელქის მთის ნაკადულის ჩხრიალი არსად ისმის. ნიავიც განგებ შეჩერებულა, რომ არ დაარღვიოს გარეშემო მშვიდობიანობა, არ დაუშალოს ბუნებას ძილი, განსვენება. ტყე დაბარდნილია თოვლით, ხეებს ტანი და ტოტებიც აღარ ეტყობათ... აი ამ დროს ერთ კუთხეს გორაზე მგლის ჯოგი გროვდებოდა. ზოგნი მოსულიყვენ აღრე და სხვების მოლოდინიც ჰქონდათ. ყმუილით, ნელის, ბოხის ხმით აუწყებდენ ამხანაგებს: „მოდით, ნუ დაიგვიანებთო!“

ქვეიდან, შორს სოფლიდან გაურკვეველი ჟრიამული ისმოდა; სახლებიდან ამონადენი ბოლი ნისლათ, ჯანღათ ზედ გადასწოლოდა სოფელს, საბნათ ეხურა. მაღლა ცა გავარვარებული, ვარსკვლავებით მოჭედილი, ხოლო პირ-მოკუმული, გაშტერებული დასჩერებოდა დედა-მიწას.

მგლები ამაღამ სოფელს უნდა ესტუმრონ.—ესაა მათი ფიქრი და განზრახვა. თავს იმიტომ იყრიდენ ერთათ, რომ ტყეში აღარაფერი ეგულებოდათ საჭმელი ერთი კვირაა მშიერები დალასლასებენ, მიწასაც კი ველარა თხრიდენ საჭმელათ თოვლისა და ყინულისაგან. მოგროვდენ, დიდი ჯოგი გაკეთდა, ყველანი კბილებს აკაწკაწებდენ, შიოდათ, ძალიან შიოდათ! ერთმანეთს ათვალიერებდენ და ნატრობდენ, ერთს მეორის ტანზე ერთი წვეთი სისხლი მაინც შეენიშნა, რომ ამით საბუთი ჰქონოდათ ძგერებოდენ და თვისი თანა-მოძმე ლუკმა-ლუკმა გაეგლიჯათ. რომელ ერთს ეყოფოდა ერთი მგელი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითო ლუკმა ხომ არცკი შეჰხვდებოდათ?! არა, ცოტათი მაინც შიმშილის ქინს მოიკლავდენ.

საგულისხმო სანახავი იყო ამ დროს მგლების კრება: ზოგი იწვა თოვლზე, სხვა დაყუნთებულიყო, რიგიც იდგა ფეხზე კუდებ-დაშვებული, ხოლო ყველას პირები ჰქონდა დაღებული. ასე თათბი-რობდენ თარეშის, ლაშქრობის შესახებ:

— კარგი დრო დაგვიდგა, კარგი, ბიჭებო! როგორ ბნელა! აბა, ვისაც იმედი აქვს თავისა ეხლა უნდა ეცადოსო,—ამბობდა მოხუცი მგელი ტოტია.

— ოღონდაც, ოღონდაც, — თქვა მეორემ,—ეიუ სხვას ველარას მოვიგდებთ გარეთ, ძაღლები მაინც მოვიტაცოთ. ხომ იცით ჩემი ამბავი? თქვენ ჩაგასაფრებთ, მე გამოვიტყუებ, გაუთამაშებ, ჩაუკვდებ-მოუკვდები ქედანას, შემოგაგდებთ ზეადა და მაშინ თქვენ იცით რო-გორც გაირჯებით!

— რა შვილებმა არ ვიცით ჩვენც, როგორ უნდა ჭამა ლეში-სა,—თქვეს სხვებმა სიცილით. თათბირობდენ ფარეხის გატეხაზე. ცხვრის მოგონებაზე ყველამ დაღებული, ცეცხლით ანთებული ლა-შები უფრო დააღეს და ნაკვერჩხლებათ გამოაჩინეს დიდრონი კბი-ლები. გაჭკრეს, გაუსვეს კბილი-კბილს; აჩქამდა კბილები და საერთო, საშინელ ცეცხლათ დაენთო, არე-მარე გაანათა.

აიშალენ იმ იმედით, რომ გაძღებოდენ, დაეშვენ თავქვე, წინ-ჩაუძღვათ ტოტია, წალიკი დააკრეს გორის პირს—ჩამომწკრივდენ. იმედი უღვიოდათ გულში, მაგრამ დახეთ, რომ ბედმა უმუხთლა. რასაც არ მოელოდენ ის მოხდა; მოხდა ის, რითაც იმათი საქმე ფუჭდებოდა, იშლებოდა. წელი მოსწყდათ, რა მოხდა განა ასეთი? ამათ სიბნელის იმედი ჰქონდათ ხომ, მაგრამ ცოტათ შენიშ-ნეს რომ ალმოსავლეთით ცის პირი ნათდებოდა. ყველანი შეჯგუფ-დენ ერთათ და მიაპყრეს იქით თვალები. ცოტა ხანს შემდეგ მთვა-რემ წვერი ამოყო. ამოვიდა მთვარე და გაანათა ტყე, მთა, ბნელი კუნჭულები; გაანათა ჯურღმული. შეჯგუფებული მგლები ბრაზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მორეულნი იძახდენ: „ამოდის, ამოდის, ნათდება!“ მთვარისაკენ მიპყრობილ მგლების თვალებიდან ზიზღის, სიძულვილის, სისხლის ძიების ისრები იყო გაძაფული. როგორ სწყეველიდენ მის ამოსვლას!

—გაგიხმეს ფეხი, გაგიწყრეს ღმერთი! ვაი შენ, ვაი შენ გაჩენის დღესა!—ამბობდენ მგლები და თან კბილებს ულრჭენდენ: „ახ, ნეტავი, ხელში კი ჩაგვაგდებინა, შაგვაჭამა, რომ მოგვესპო მაგისთვის სიცოცხლე“. ყველაზე უფრო წყრებოდა, ბორგავდა ერთი ბებერი მგელი.

— ბევრჯელ მომიკალ გული,—ამბობდა იგი:—ბევრჯელ დამალონე შე წყეულო, შე შეჩვენებულო; ბევრჯელ დამალონე, გამიმწარე სიცოცხლის დღენი. ბევრის ცხოველის სისხლით ბევრჯელ შევიღებე ცხვირ-პირი, ტოტები და მკერდი; მთელ ორ კვირას დაუშვენებივარ ამ სისხლსა და ჩემ ტანზე მისი დანახვით სიყმილის ქონი მოიკლავს. ნეტავი, მთვარეო, ერთხელ შენთვისაც გამესვა ჩემი ბასრი კბილი, ნეტა შენი სისხლითაც დაეშვენებინა მხარ-ბეჭი და თათები ლეგ-ჩოხა ბიჭ ტოტიას.

დანარჩენებიც ამასვე ფიქრობდენ, კელავ ლაშ-დაღებულნი და შეჩერებოდენ მთვარეს. მთვარე კი ამოდიოდა ზევით და ზევით, ამომაღლდა ცაზე; გაანათა ტყეში ხისა და კლდის ძირები, ბნელი ხევები, აგრეთვე გაანათა სოფლათ ბნელი კუნჭულები—ციხე-კოშკებისა და ძველთა შენობათა ნანგრევებისა, სასაფლაოს შავ ქვებს თავის სხივის სანთელი დაუნთო; მადლიანათ და ცხოვლათ იყურებოდა სასაფლაოც კი. გაცრუედა ყოველი იმედი ბავლისა, თარეშობისა.—დღის სასწორი ღამეა. რაღა ქნან? იმედი გადუწყდათ, სასოება დაჰკარგეს, ერთმანეთს-ღა დაუწყეს თვალიერება; ფიქრობდენ, არჩევდენ ვინ არის ჩვენში სახარჯი, შესაჭმელიო. ერთი მზათ იყო მეორეს ძგერებოდა და შუაზე გაეგლიჯა.

მოხუცი ტოტია, თავ-პირ დასიებული ჯაგს უკან ეყუნთა, ფიქრებში იყო გართული; იმას ბევრი შიმშილი უნახავს და ბევრი ვაება გამოუცდია, მაგრე რიგათ იმიტომ არ იყო შეწუხებული. ახლაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვისა იმედით ნადირობდა; ახალგაზდა მგლები უზიარებდენ იმას საზრდოს.

— ტოტიავ, ეი, არ გესმის!? რას გარინდებულხარ, ვერა ხედავ რა ამბავია? ვიღუპებით შიმშილით, ლამის მგლის ნათესაობა, ჯილაგი გაწყდეს პირისაგან ქვეყნისა, რასა სწერს შენი კარაბადინი, ბიძიავ? — უთხრა მას ერთმა მგელმა და თან ტოტი გაუქნია თავში.

— რას ჩადი, შე ბრიყვო, შე გაუზდელო, ვირო?! — თქვა წყროლით მოხუცმა მგელმა. სხვა მგლებმაც ყურები აცქვიტეს, — იგრძნეს საქმის ვითარება.

— ჰო და რა?! ილრიალა ყველამ ერთათ: ძალიან კარგათ გიშერება, შენისთანა ბრიყვზე ერთი ტოტის დაკვრა კიდევაც ცოტაა. კბილი გაუსვით მაგას, კბილი; ეს სინათლე სულ მაგის ბრალია! ლმუოდენ ყველანი. დიდ ხანს აღარ აცალეს და თათებს კბილებიც მიაშველეს...

— ბიჭო, ჭკვიანათ, ჭკვიანათ! რას ჩადით თქვე ბრიყვებო? ლმუთუნებდა ტოტია და ულრენდა კბილს ხან ერთს, ხან მეორეს, მაგრამ იმისი ღრენა ვის შეაშინებდა? ერთს წამში გათავდა ტოტიას სიცოცხლე; ლეშთან ერთათ გათავდა მისი სულიც. ბეწვიც აღარსად ეგდო იმის მრავალ-ტანჯულის ტყავისა. ოდნავ თუ სადმე ნასისხლარს შეამჩნევდით, ის იყო. მგლებს ცოტათ გული დაუმშვიდდათ, მაგრამ კიდევ შიოდათ. შეხედეს ერთმანეთს, შეეშინდა, ერთს მეორისა, ალბათ იმიტომ ახლა მე არ შემჭამონო. შეეშინდათ და გაფთხენ. ერთი მეორეს გაურბოდა, ჯაგიანებში ჩხლაკა-ჩხლუკი ისმოდა და თან თოვლის ჭურლალი... მთვარე კი ამოვიდა, ამოცურდა მაღლა, თითქმის შუა ცაზე, ნათლათ კაშკაშებდა და იქიდან, როგორც დარაჯი უფთხობდა ქვეყანას მტერსა... მგლები კი გარბოდენ უგზოუკვლოთ ტყეში და ყველას პირზე ეკერა: „განათდა, განათდა!“

ვაჟა-ფშაველა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღარიბების შემწეობა.

ერთ ქალაქის განაპირას გაჩნდა საშინელი ცეცხლი, რომელმაც ოცდ-ათი სახლი შთანთქა და ოცდ-ათი ოჯახი უჭერეთ და ულუკმა-პურეთ დატოვა.

მეორე დღეს იმ ნაწილის მცხოვრებთ ამ ცეცხლზე მეტი სალაპარაკო აღარა ჰქონდათ-რა; ისინი გულით თანაუგრძნობდენ მეზობლებს და ცდილობდენ შეემსუბუქებინათ მათი საცოდავი მდგომარეობა.

რამდენიმე სხვა-და-სხვა ხელობის კაცი ვახშამს შემდეგ მოგროვილიყო ერთი სახლის კარებთან და ჰქონდათ სჯა, თუ რა გვარი შემწეობა აღმოეჩინათ დაზარალებულთათვის

— მე,—თქვა ერთმა, —ორ ან სამ ადამიანს წავიყვან ჩემთან, ერთი ოთახი მაქვს თავისუფალი და იქ დავასახლებ.

— მეც,—დაუმატა მეორემ,—სვალვე ჩემ სახელოსნოში ფულებს მოვუგროვებ.

— შენ ბებერო იაკობ?—ჰკითხეს ყველამ ერთ ჩასუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქებულ, ღონიერ, მშვიდობიან სახის კაცს, რომელიც აქამდის გაჩუმებული იჯდა.

ღონიერი როგორც დევ-გმირი იაკობი, კარგი მშრომელი მუშა იყო. იგი ბარგის მზიდავი იყო რკინის გზის სადგურზე და მზათ იყო რითაც კი შეეძლო შემწეობა აღმოეჩინა ყველა გაჭირვებულთათვის: მეზობლები იცნობდენ იმას გულკეთილ და ჭკვიან კაცათ.

—მე ჯერ არ ვიცი რითი შევეწიო! — უპასუხა იაკობ ვარომ,—ფული მე არა მაქვს, რადგან დღიურ ლუკმას ძლივს ვშოულობ! ჩემი კეთილი სურვილი და ეს მკლავებია ჩემი სიმდიდრე. თუ კი ამ ორი საშუალებით შეშეძლება რამე შემწეობა აღმოვუჩინო, მზათა ვარ.

იაკობს მალე მიეცა შემთხვევა აესრულებინა თავისი სურვილი და შესწეოდა დაზარალებულთ. მეორე დღეს, როდესაც იაკობი მიდიოდა სამუშაოთ რკინის გზის სადგურზე, დაინახა ბოძზე გაკრული შემდეგი განცხადება: „ცირკის მმართველი იწვევს მოჭიდავეს საბრძოლველათ დიდს მოედანზე და ვინც მოერევა და დასცემს ძირს მას, ჭვირდება ას მანეთს საჩუქარს და ერთი საღამოს მთელი შემოსავლის მესამედსა“. ეს ბრძოლა ამ საღამოსვე უნდა მომხდარიყო. იაკობი მაშინვე გაექანა მოედნისკენ და გამოუცხადა რომ მას სურს ბრძოლა. შემდეგ დაბრუნდა სამუშაოთ სრული ბედნიერი იმ აზრით, რომ თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისი გამარჯვებით შემწეობას აღმოუჩენს ცეცხლისაგან დაზარალებულთ.

როდესაც შეიტყეს, რომ იაკობი იბრძვის ამ კეთილი მიზნით დიდ ძალი ხალხი მიაწყდა ციხეს.

საღამოს რვა საათზე მოედანი გაივსო ხალხით. როდესაც იაკობი თავისი მოწინააღმდეგეთი გამოჩნდა ხალხმა ტაშის კვრით და აღტაცებული ვაშას ძახილით მიიღო.

ორივე მებრძოლი ერთმანეთს ჰგავდენ ისე, რომ პირველი შესედვით ვერ გადასწყვეტდა ადამიანი, თუ რომელი მათგანი უფრო ღონიერი იყო და რომელს მოელოდა გამარჯვება. ხალხის თანაგრძნობა ორ ნაწილათ გაიყო, მაგრამ მომეტებული ნაწილი იაკობს მიემხრო, მეტადრე მაშინ, როდესაც იაკობმა თავისი მოწინააღმდეგე ასწია ჰაერში დაანარცხა დედამიწაზე და თითონაც ზედ დაეცა. ხალხს თვალ-წინ წარმოუდგა ერთი უშველებელი პურთი, რომელიც ხან იქით და ხან აქეთ გორაობდა მიწაზე.

შემდეგ ორივე მებრძოლი უცბათ ზეზე წამოხტენ, გაშორდენ და მკლავებ-გაშლილი ერთმანეთს ისევ დაეტაკენ. ბრძოლა ხელმეორეთ დაიწყო. ხალხი გაჩუმებული და გულის ფანცქალით შეცქეროდა მებრძოლთ.

— ვაშა!—ეკივლოდენ იაკობის მომხრეები, როდესაც ხედავდენ იმის სიმარჯვეს.

— გამხნევდი! — უყვირიდენ იაკობის მეტოქეს მეორეები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორივე მებრძოლთ სუნთქვა შეუგუბდათ. საზოგადოებამ შეჰქნა კიდეც ყვირილი: „კმარა, კმარა“, როდესაც ერთი კვანტის მოდებით იაკობი ძირს დაეცა.

ვაშას ძახილს მოჰყვა საზოგადო სიცილი და გაკვირ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვება, როდესაც დაინახეს, რომ იაკობი ცალ-თვალზე წამოწოლილიყო, მეორე მკლავში დაეჭირა საბრალო მეტოქეს თავი და ხელიდან არ უშვებდა.

— გამოუსვლელობა!—იძახდა ერთი მხარე.

— არ გაუშვებს!—ეკვიროდენ ერთხმათ მეორეები.

ზოგნიც ერთმანეთს ეჯიბრებოდენ და კითხულობდენ:

— აბა რომელია გამარჯვებული? ცირკის მმართველმა დასცა ძირს.

— მართალია, მაგრა იმას რომ ხელში ჰყავს შებოჭვილი? — ბოლოს ბევრი სჯის შემდეგ გადასწყვიტეს: გამარჯვება იმას ეკუთვნის ვინც უფრო დიდხანს გაუძლებს ამ ბრძოლას და შველას არ მოითხოვსო.

გამარჯვება მართლაც იაკობს დარჩა, რადგან იმისმა მეტოქემ მალე დაიწყო ყვირილი: მიშველეთ ვისრჩობიო!— იაკობს ისე მაგრა მოეჭირა ხელი, რომ საცოდავს ცირკის მმართველს სული უგუბდებოდა.

ხალხი ნელ-ნელა დაიშალა, გამარჯვებული წავიდა ტანისამოსის ჩასაცმელათ.

მეორე დღეს, გახარებულმა იაკობმა სრულათ მიიღო დაპირებული ფული და ცეცხლისაგან დაზარალებულთ გადასცა. როდესაც ისინი მადლობას უხდიდენ, იაკობმა უპასუხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა საჯიროა ძალლობა, ეოველი კაცის მოვალეობაა რითაც კი შეუძლია, მოძმეს უბედურებაში დაეხმაროს განა ჩვენ ძმები არა ვართ? სრულიათ უგულო და უგრძნობელი უნდა იეოს ადამიანი, რომ ამ გვარ შემთხვევაში არ მოეხმაროს ერთი მეორესო. ამას შემდეგ იაკობი დაუბრუნდა ისევ თავის საქმეაოს.

ეკ. მესხისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზაფხული.

Gაზაფხულდა, გაზაფხულდა,
მხოლოდ ერთსღა მერცხლს ველი,
როს ის მოვა, მაშინ სულ მთლათ
ამწვანდება მთა და ველი.

* *
*

ნაზი ია სალამს მოგვცემს,
გაიშლება წითლათ ვარდი,
და დილ-დილით ცვარს მოაფრქვევს
მათ მაღლიდან ცა ლაჟვარდი.

* *
*

შოშიაც ხომ მოფრინდება,
გაიახლებს ძველსა ბუდეს,
თავ-ქოჩორა ტოროლას ხმა
გააღვიძებს ცისა ზღუდეს.

* *
*

ზამთრის სუსხი, ყინვა, თოვლი
ჩემს გულს ველარ დაიმონებს,
გავალ მინდერათ ტოლ-ბიჭებით
ყვავილების შევჭრავ კონებს.

შ. მღვიმელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოქროს მდინარის მეფე

ანუ შავნი ძმანი

(შტირიული ზღაპარი ჯონ რესკინისა)

როგორი ცხოვრება დაუდგათ ძმებს სამხრეთ-დასავლეთის ქარის წასვლას შემდეგ.

II

ამხრეთ-დასავლეთის ქარი პირს არ გადავიდა და მასუკან აღარ უნახავს „სიმდიდრის-ხეი"; მარტო იძას კი არა, სხვა მის მონათესავეთ ერთსაც აღარ გაუჭაჭანია ამ ხევში. თვეები თვეებს მისდევდა, წლები-წლებს და ერთხელ ციდან ჩამოვარდნილი ცვარი აღარ უნახავს ამ ხევს. ირგვლივ ყოველივე ამწვანებულ-აყვავებულიყო და მხოლოდ ამ სამი ძმის მამული მკვდარ უდაბნოს დამგზავსებოდა. ყველაზე ნაყოფიერი მიწა, უნაყოფო ქვიშათ გადაქცეულიყო. ძმებმა რაკი დაინახეს, რომ ბედთან ბრძოლით ვერას გახდებოდენ, მიანებეს თავი თავიანთ მამულს და წავიდენ ახლო-მახლო ქალაქებში ცხოვრების სახსრის მოსაპოვებლათ. ფული ხელში არა ჰქონდათ რა —იმოდენა სიმდიდრიდან მხოლოთ რამდენიმე ძველი ოქროს ნივთები-ღა შერჩენოდათ.

—მოდი და ოქრო-მჭედლობას მოვკიდოთ ხელიო,—უთხრა შვარცმა განსს, შევიდენ თუ არა ქალაქში,—ოქროში სპილენძიც რომ გაურიოთ ხოლმე შეიძლება კაი სარგებლობა ენახოთო.

განსს ძმის მოსაზრება მოეწონა. გამართეს ქურა-საბერველი და დაიწყეს ოქრო-მჭედლობა. მაგრამ საქმე კარგათ ვერ მიდიოდა: ორი გარემოება უშლიდათ მათ ხელს: პირველი ისა, რომ ნარევ, ყალბ ოქროს არავინა ყიდულობდა, მეორე ის, რომ ძმებმა სმას მიჰყვეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელი. გაჰყიდდენ თუ არა შემთხვევით რაიმე ნიეთს, დატოვებდენ დუქანში მარტო გლიუკს, თვითონ კი სამიკიტნოში გასწევდენ და მოგებულ ფულს იქვე მეფლანგავდენ. ასე გააქრეს მთელი თავიანთი ოქრო. ახალ ოქროს სასყიდლათ ფული არა ჰქონდათ; დარჩათ კიდევ ერთი დიდი ოქროს ფინჯანი, რომელიც გლიუკს ბიძისაგან ჰქონდა ნაჩუქარი. გლიუკს ძრიელ უყვარდა ეს ფინჯანი და იმის დათმობას სიკვდილი ერჩივნა. ფინჯანი გარედან საოცარი იყო. ყური ორი ოქროს კულულისაგან იყო დაწნული; თითო ძაფი კულულისა ისეთი წვრილი იყო, რომ უფრო აბრეშუმს წააგავდა ვიდრე ლითონს. ეს კულულები მოდიოდენ ძირს, უერთდებოდენ ამისთანავე სუფთა, წმინდა ნამუშავარ წვერ-ულვაშებს; წვერ ულვაში ეკუთვნოდა პატარა, მკაცრი გამომეტყველების, წითელ ოქროსაგან ფინჯანზე გამოყვანილ სახეს, რომელსაც დიდრონი, საშიშრათ გამომცქერალი თვალები სახეს სიმკაცრეს უორკეცებდენ. არავის არ შეეძლო ამ ფინჯნით დალევა, რომ თვალებისთვის არ შეეხედა. შვარცი ამბობდა:—ერთხელ ამით რეინის ღვინოს მეჩვიდმეტეთ რომ ვცლიდი, ეს თვალები გაკვირვებით მიცქეროდენო. მიდგა ჯერი ფინჯანზედაც. მეტი ჯანი არ იყო, ესეც უნდა გადაედნოთ ბეჭდების გასაკეთებლათ. გული უწუხდა საწყალ გლიუკს, მაგრამ მისი მწუხარება ძმებს სიცილათ არა ჰყოფნიდათ. ჩააგდეს ფინჯანი სადნობ ჭურჭელში, თვითონ სამიკიტნოში გასწიეს და კვლავინდებურათ ძმა დატოვეს გამდნარი ლითონის ჩამოსასხმელათ.

ძმები რომ წავიდენ. ერთხელ კიდევ ჩახედა გლიუკმა თავის მეგობარს სადნობ ჭურჭელში. წვრილი თმები უკვე გამდნარიყო; წითელი ცხვირი და წყვილი მოელვარე თვალი მოჩნდა. ეს თვალები ახლა კვლავინდებურზე მკაცრათ გამოიცქირებოდენ. „საკვირველიც არ არის—გაიფიქრა გლიუკმა—ძალიან სასტიკათ მოეპყრენ ჩემი ძმები“, დაღონებული მიჯდა ფანჯარასთან და საღამოს წმიდა ჰაერს ისუნთქავდა. ფანჯარა იმ მთებისკენ იყო მიქცეული, . რომელნიც „სიმდიდრის-ხევს“ გარს შემორტყმოდენ და სწორეთ იმ კლდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაჰყურებდა, საიდანაც ოქროს წყალი გადმოჩანჩქარებდა. მზე ჩადიოდა, მთის წვეროებს ოქროს ნათელი გადაჰფენოდა. ყველაზე მეტათ, რასაკურველია, ბრჭყვინავდა ოქროს წყალი. გლიუკი დიდხანს შეტრფოდა ამ სანახავს და ბოლოს წამოიძახა:

—რა კარგი იქნებოდა, რომ ეს წყალი მართლაც ოქროსი ყოფილიყო!

—სრულიათაც არ იქნებოდა კარგი— ჩასძახა ვილამაც შიგ ყურში წმინდა, წკრიალა ხმით.

—ღმერთო დიდებულო, ეს ვინ უნდა იყოს?—გაოცებით წამოიძახა გლიუკმა. მაგრამ იქ არავინ ჩანდა. დაათვალიერა მთელი ოთახი, შეიხედა მაგიდას ქვეშ, ხშირათ აქეთ-იქით იცქირებოდა, ეგონა ჩემს უკან თუ ვინმე დგას, დამალვას ვერ მომასწრებს და დავინახავო, მაგრამ ამაოთ. ისევ ფანჯარასთან მიჯდა. ხმა მ ლ ვ კი არას ამბობდა, მაგრამ ჰფიქრობდა კი: „მართლაცა და რა კარგი იქნებოდა, რომ ეს მდინარე ოქროს მდინარეთ გადაქცეულიყო“.

—კარგი არ იქნებოდა—განუმეორა გლიუკს იმავე ხმამ.

—ღმერთო დიდებულო! წამოიძახა გლიუკმა,—ეს რას ნიშნავს? მიათვალ-მოათვალიერა ყველა კუთხეები, და რომ ვერავინ იპოვნა, გავიდა შუა ოთახში და ციბრუტივით ტრიალი დაიწყო, უნდოდა რომ ზურგს უკან თუ ვინმე ემალებოდა, დაეჭირა. ამ დროს მოესმა ვილაცის სიმღერა: „ლა-ლა-რილა-ლა-ლა“. ამ ხმაზე, გლიუკმა ფანჯარას შეხედა. არა, ხმა სახლში იყო. ხან მაღლა აიწია, ხან ჩაქუქდა, მაგრამ ვერა გაიგორა; ხმა სულ ოთახში ისმოდა და უფრო იქიდან, საცა ქურა იყო. მაშინვე მიირბინა, ჩახედა და დარწმუნდა, რომ ხმა სადნობი ჭურჭლიდან ამოდიოდა. ახადა და შეშინებულმა უკანვე დაიწია: ჭურჭელში ხმამ იმატა, გლიუკი მიიკუნჭა კუთხეში; გაკვირვებული, გულ-ხელ დაკრეფილი და პირ დაღებული ყურს უგდებდა ჭურჭლის სიმღერას. აგერ ჭურჭელმა შეწყვიტა სიმღერა და მკაფიოთ დაიძახა:

—ეჰეი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლიუკმა ხმა გაკმინდა.

—ეი, გლიუკო! ჩემო კარგო!—მკაფიოთ მოისმა ხელახლათ.

გლიუკმა გაბედა, მივიდა სადნობ ჭურჭელთან და ქურიდან გადმოიღო. ოქრო სულ გამდნარიყო. ზედა პირი თხელი და სწორე იყო; გლიუკმა ფინჯანზე გამოყვანილი ძველი მეგობრის თვალები და მოწითალო ცხვირი დაინახა; განსხვავება უწინდელთან მხოლოთ იმაში იყო, რომ ცხვირი ერთი ათასათ უფრო გაწითლებულიყო, თვალები კიდევ კვლავინდებურზე უფრო დაჟინებით გამოიცქირებოდენ.

—აბა, გლიუკო,—აღმოხდა ხელახლათ ხმა სადნობი ჭურჭლიდან,—მზათა ვარ ჩამომასხი.

—ჩამომასხი მეთქი, გეუბნები,—მკაცრათ განიმეორა იმავე ხმამ. გლიუკი კიდევ ვერ გამორკვეულიყო, ვერ განძრეულიყო.

—ჩამომასხამ თუ არა? არ გესმის, სიცხემ შემაწუხა! გლიუკმა დასძალა თავისი თავი და სადნობ ჭურჭელს მიუახლოვდა. აიღო და კვლავინდებურათ ოქროს ჩამოსხმა დაუწყო; მაგრამ თანაბრივ გამდნარი ოქროს მაგივრათ გამოჩნდა ჯერ ორი ლამაზი, მოყვითალო, პატარა ფეხი, შემდეგ ტანისამოსი, ორი დონჯ-შემოყრილი მკლავი და ბოლოს თავი, რომელიც გლიუკის ძვირფას სახსოვარ ფინჯანზე იყო გამოყვანილი, ყველა ეს ნაწილები ერთათ შეერთდენ და იატაკზე გადმოხტა ორი ციდის ტოლა პატარა ქონდრის კაცი.—აი ეგრე, ყოჩაღ,—თქვა ქონდრის კაცმა. გაიზმორა, გაიქნ-გამოიბნია თავი, თითქოს უნდოდა დარწმუნებულიყო ყველა ტანის ნაწილი თავის ალაგას და სწორეთ არის მიბმული თუ არაო. გლიუკი გაკვირვებული შეცქეროდა. ქონდრის კაცი მოკლე ახალუხში იყო გამოწყობილი; ახალუხი ოქროთი იყო ნაქსოვი: თვითოეული მისი გძელი წვერის ბეწვი ისეთი წვრილი იყო, რომ ბოლოს ვერ გაარჩევდით სადა თავდებოდა, ისე უერთდებოდა გარე შემორტყმულ ჰაერსა. სახე კი საამისო ნაზი და სუსტი არა ჰქონდა; სქელი, ტლანქი, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ გამომეტყველი. გასწორდა, შემდეგ თავისი გამჭრიახი თვალები შეანთო გლიუკს და ბოლოს უთხრა.

—არა, გლიუკო, სრულიათაც არ იქნებოდა კარგი?—ეს წინადადება უფრო ლაპარაკის დასაწყებათ იყო ნათქვამი, თუმცა კი გლიუკის ფიქრებს შეეხებოდა.

—სრულიათაც არ არის კარგი—გადაწყვეტით თქვა ქონდრის კაცმა და წარბებზე ქუდი წამოიფხატა. გაიარ-გამოიარა ოთახში; უნდა გენახათ ფეხებს რა მაღლა ისროდა სიარულში! გლიუკი ამ ხანში გონს მოვიდა, შიში მხოლოთ გაკვირვებათ გადაექცა, ისე რომ გაბედა და ჰკითხა.

—მითხარით თუ ღმერთი გწამთ,—დაიწყო იმან და თან ცოტა არ იყოს ბორძიკობდა ლაპარაკში: ,,თქვენ წინათ—ჩემი ფინჯანი იყავით?

ამ სიტყვებზე ქონდრის კაცი სწრაფათ გამობრუნდა, მივიდა გლიუკთან, გამოიჭიმა და უთხრა:

—მე ოქროს წყლის მეფე ვარ.—შემდეგ ისევ ოთახში სიარული დაიწყო. ერთხელ ორჯელ რომ გაიარა, მივიდა ისევ გლიუკთან და უცდიდა, რას ეტყოდა ახლა გლიუკი.

—ვგონებ, თქვენო დიდებულებავ! თქვენ თავს ახლა კარგათა გრძნობთ?

—ყური მიგდე! უთხრა ქონდრის კაცმა, თითქო გლიუკის სიტყვა ვერ გაიგონაო.

—თქვენ რომ ოქროს მდინარეს ეძახით, მე იმისი მეფე ვარ. შენ ჭურჭელში დატყვევებული ვიყავი ჩემზე უფრო ძლიერი მეფისაგან და შენ განმათავისუფლე. კარგათ ვხედავდი შენ გულ-კეთილობას და შენი ძმების სიბოროტეს, სიავკაცეს. ახლა მსურს სამსახური გაგიწიო; დამიგდე კარგათ ყური: თუ ვინმე ერთ დღეს ავა იმ მთის წვერზე, საიდანაც ოქროს წყალი გადმოდის, ჩაუშვებს შიგ წმიდა წყლის სამს წვეთს, მთელი მდინარე მხოლოდ მარტო მისთვის ოქროს მდინარეთ გადაიქცევა. თუ პირველათ ვერ მოახერხა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე ამაო-ღა იქნება ყოველი ცდა. და თუ ვინმე უწმინდურ წყალს ჩაასხამს, მას შთანთქავს მდინარე და შავ ქვათ გადააქცევს. გაათავა ეს ლაპარაკი ოქროს მდინარის მეფემ, გატრიალდა ამაყათ, გასწია შუა ქურისკენ, გაწითლდა, მერე გათეთრდა, ალივით აენთო, აპრიალდა და გაჰქრა.

—ვაიმე, ვაიმე! შეჰკიელა გლიუკმა და გაექანა ქურისაკენ.— რა იქნა ჩემი ფინჯანი, ჩემი ფინჯანი, ჩასძახოდა ქურას, მაგრამ ქონდრის კაცი აღარსად ჩანდა.

III

განსი ოქროს მდინარის სათავისაკენ მიდის.

ჯერ კიდევ გლიუკი ვერ გამორკვეულიყო, რომ განსი და შვარცი, ორივე სმისაგან გალექილები, ღრიანცელით შემოცვივდენ სახლში. გაიგეს თუ არა რომ უკანასკნელი მათი ოქროს ნაჭერიც გაჰქრა, ჯავრისაგან თითქოს გამოფხიზლდენ, ეცნენ კლიუკს და კარგა ხანს სცემეს. შემდეგ დასხდენ და ყურს უკდებდენ გლიუკის თავისმართლებას. გლიუკმა ოქროს წყლის მეფეზე ყველაფერი უამბო; მაგრამ იმათ არაფერი არ დაუჯერეს და ხელ ახლათ დაუწყეს ცემა სანამ კარგა არ მოიქანცენ და დასაძინებლათ არ დაეყარენ. გლიუკი თავისას არ იშლიდა. არწმუნებდა, რომ ყველაფერი ოქროს წყლის მეფის ამბავი მართალიაო. ბოლოს იმათაც დაიჯერეს და ახლა ი!აზე მოუვიდათ ერთმანერთში კინკლაობა, ვინ წავიდეს ჩვენში პირველიო. კინკლაობა ჩხუბზე და კრივზე გადავიდა; ამოიძრეს ხმლები და ეცენ ერთმანერთს. ყვირილზე და ხმაურობაზე მეზობლებმა მოირბინეს და რომ დაინახეს, ძმების გაშველება ძნელი იყო, პოლიციელებს დაუძახეს. გაგონ თუ არა ეს განსმა, დაანება ძმას თავი, გაიქცა და დაიმალა. შვარცი კი პოლიციელებმა დაიჭირეს და სასამართლოში წაიყვანეს. შვარცი წეს რიგის და სიმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვიდის დარღვევისათვის ციხეში ჩასვეს. განსს ეს ამბავი იამა და დაუ-ყოვნებლივ ოქროს მდინარესკენ წასვლა გადასწყვიტა. წმიდა წყალი-ღა აბრკოლებდა. წავიდა გრძნეულ კაცთან, მაგრამ გრძნეულმა უარი უთხრა, შენისთანა საძაგელ ადამიანს მე წმიდა წყალს არ ვაძ-ლევო. მაშინ განსი ღამე შეეპარა სახლში გრძნეულს და მთელი ბოთლი წმიდა წყალი მოჰპარა. განსის სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა. მეორე დღეს წამოდგა მზის ამოსვლამდე, ჩაიწყო კალათაში ორი ბოთლი ღვინო, ხორცი და გაუდგა გზას. გზაზე სწორეთ იმ ციხეს გაუარა, სადაც შვარცი იყო დამწყვდეული. შეიხედა ფანჯარაში და იქ ძმა დაინახა, რომელიც დაღვრემილი, მწუხარეთ გამოიცქირე-ბოდა სარკმელიდან.

—დილა მშვიდობისა, ძმაო,—შესძახა განსმა—ხო არას დამა-ბარებ ოქროს მდინარის მეფესთან?

გაცეცხლებულმა შვარცმა კბილები დააკრაჭუნა და მძლავრათ შეანჯღია ფანჯრის რკინები. განსმა უფრო დასცინა ძმას, უსურვა ყოველი სიკეთე, უჩვენა წმიდა წყლით სავსე ბოთლი და კმაყო-ფილმა გასწია თავის გზისაკენ. შვენიერი დილა იყო. ხევში ნისლი ჩამოწოლილიყო; დიდრონი მთები თავს დაცქეროდენ, ღაბლა მთის კალთები ჯერ ისევ ჩრდილში იყვენ, როცა მწვერვალები ამომავალ მზეს შვენიერათ მოევარაყებინა. კიდევ უფრო ზევით ლამაზათ მო-ჩანდა, ათას ნაირი მოყვანილობის კლდეები და ბოლოს, ყველა ამას ზედ დაჰყურებდა გამოქანდაკებული თოვლიანი მწვერვალები; რომლებიც დილის ნისლზე უფრო წმინდათ და უფრო ბრწყინვალეთ გამოიყურებოდენ... ოქროს მდინარე მთლათ ნისლს დაემალა. ეს მდინარე იყო განსის მიზანი და თვალი და გონება მარტო იქითკენ მიურბოდა. მას მთლათ გადაავიწყდა ძნელი და გძელი სავალი გზა. მოუსაზრებლათ ამოირჩია უფრო ძნელი გზა და მიტომ უფრო დაი-ღალა; მაგრამ სად იყო ჯერ წვერო! არაფრათ ეჭაშნიკა, რომ გზაზე საყინულე დახვდა. თუმცა ის მთები კარგათ იცოდა, თითქმის ყვე-ლა მოვლილი ჰქონდა, მაგრამ ამ საყინულის არსებობა არც კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაეგონა. საყინულე უთუოთ უნდა გადაეცლო. შედგა ზედ გაბედვით, როგორც გამოცდილს, მთაში გაზდილს კაცს შეშვენის, თუმცა კი ხედავდა და გრძნობდა, რომ ამაზე ძნელი და საშიში გზა თავის დღეში არ გაეცლო. ყინული მეტათ ლიპი იყო და ყველა ამოტეხილი ალაგიდან ისმოდა წყლის საზარელი ხმა. ხმაურობა იცვლებოდა: ხან სიმღერას დაემგზავსებოდა, ხან თითქოს ჰკენესოდა, ხან მისი ხმა კაცის ყვირილს მოგაგონებდათ, რომელიც თითქო საფრხეშია გაბმულიო, სიკვდილი უახლოვდება და შველას გაჰყვირისო. ყინული ათას სხვა-და-სხვა ნაირ ნაჭრებათ იყო დამსხვრეული და განსი ხედავდა რომ არც ერთ ნაჭერს ნამდვილი ყინულის მოყვანილობა არ ჰქონდა; უფრო დამახინჯებულ ცოცხალ არსებეებს წაგავდენ. მკრთალი ნათელი, რომელიც ამ ყინულს მოჰფენოდა, ატყუებდა მგზავრს და ამავე დროს, თავი უმძიმდებოდა დამალული წყლების გამუდმებული ღრიალისაგან. რაც უფრო წინ მიდიოდა იმდენათ გზა უფრო უძნელდებოდა. ყინული სკდებოდა და ფეხებ ქვეშ ფარღალალოები მოჩანდა; ხან სად ჩაუტყდებოდა ყინული და ხან სად. თუმცა განსს არა ერთი ამისთანა განსაცდელი გამოეარა, მაგრამ ამ გზამ ისე ძრიელ დაღალა, რომ, გადადგა თუ არა ყინულზე უკანასკნელი ნაბიჯი ძალა მიხდილი, აცახცახებული დაეცა დედა მიწაზე. საგზლიანი კალათა გადაგდო, რადგანაც მეტათ ამძიმებდა და ყინულზე გადასვლა უჭირდებოდა. ახლა გასაგრილებლათ ამტვრეედა ყინულს და იმასა ჰყლაპავდა. ამან ცოტა წყურვილი მოუკლა, და ერთი საათის შემდეგ დასვენებამ ღონე დაუბრუნა. მას უნდოდა ჩქარა მიეხწია თავის მიზნისთვის; სიხარბე ძალას ატანდა, და გადასწყვიტა აღარ დაეგვიანა. ახლა მთლათ გატიტვლებულ ციცაბო კლდეებზე უნდა ეცლო. ამ კლდეებს საფეხურებიც კი არა ჰქონდათ, რომ ცოტათ მაინც გაეადვილებინათ მისთვის სიარული; გამოქვაბულიც არსად იყო, რომ მზისაგან თავი დაეფარა. შუა დღე გადასული იყო და მზის სხივები პირდაპირ ახურებდა კლდეს, რომელზედაც ის მიდიოდა. შეხუთული, გახურებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ჰაერი არ მოძრაობდა. წყურვილს მთელი ტანის მოქანცულობაც დაემატა და არა ერთხელ ჩახედა წმიდა წყლით სავსე ბოთლს.

—სულ ხომ სამი წვეთი უნდა,—ჰფიქრობდა—და თუ მეტათ გამიჭირდა ამ წყლით მაინც გავიგრილებ გულსა.

ახადა ბოთლს და ის იყო ტუჩებთან მიიტანა, რომ ამ დროს თვალი შეასწრო რაღაცა საგანს, რომელიც იმის წინ კლდეზე ეგდო. საგანი თითქოს მოძრაობდა. ალმოჩნდა რომ წყურვილისაგან მისუსტებული, ძალა გამოლეული ძაღლი იყო; პირი ამომშრალი ჰქონდა, ფეხები უსიცოცხლოთ გაეჭიმა; ჭიანჭველები პირთან შემოჰხვეოდენ და ფუსფუსებდენ. დაინახა წყლით ბოთლი და ლმობიერებით, ხვეწნით შეაჩერა თვალები; მაგრამ განსმა თვითონ მოსვა წყალი, ძაღლს წიხლი ჰკრა ⁄ ისევ გზას გაუდგა. ამდროს ეჩვენა, რომ ტრედის ფერ ცაზე რაღაცა უცნაურმა ჩრდილმა გაირბინა. გზა უფრო და უფრო ძნელდებოდა და მთის ჰაერმა გაგრილების მაგივრათ განსი უფრო დასწვა და დააცხუნა. ჩანჩქრების ჩხრიალი მკაფიოთ ესმოდა და წყალს რომ მოიგონებდა უფრო მოწყურდებოდა ხოლმე ერთი საათი კიდევ იარა. მეტი მოთმენა ალარ შეეძლო. განსი შედგა ბოთლის გასახსნელათ. სწორეთ ამ დროს კიდევ რაღაცა შეინძრა ზედ ბილიკზე, ეს იყო თითქო უსიცოცხლოთ კლდეზედ მიწოლილი ბავში, გული მძიმეთ უფეთქდა წყურვილისაგან, თვალები დაეხუჭა; გამშრალ ტუჩებს ალმური ასდიოდა. განსმა შეხედა ბავშს, მოსვა წყალი და გვერდი აუარა. აქაც ერთ წამს შავმა ღრუბელმა დააბნელა მზე და ჩრდილმა გველივით გაისრიალა კლდეებზე. განსი შეკრთა. მზე ჩადიოდა, მაგრამ ჰაერი ისევ გახურებული იყო და გამუდმებული სიჩუმე ლოდივით აწვებოდა მის გულს. მოგზაურობის მიზანი შორს ალარ იყო: ოქროს წყლის ჩანჩქარი უკვე მოჩანდა; აგერ სულ ორმოცდა ათი საჟენია იქამდის. წამს შედგა დასასვენებლათ და შემდეგ ისევ მალე გასწია წყლისკენ. ამ დროს იმის ყურებამდის მიხრწნილმა ხმამ მოაწია. განსმა მიიხედა და კლდეზე მწოლარე, მთლათ ჭალარა, მოხუცი დაინახა. მკვდრის ფერი ედო და თვალებში სასო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარკვეთილება ეხარებოდა; იმას განისკენ ხელები გაეშვირა და სუსტი ხმით. ეუბნებოდა: წყალი, წყალი! ვკვდები...

— მე წყალი არა მაქვს — უპასუხა განსმა: — გეყოფა რაც გიცოცხლია ამ ქვეყნათ. — თქვა ეს და ჩქარის ნაბიჯით მოხუცს გაშორდა. მტრედის ფერმა სხივმა სამჯერ გაიელვა აღმოსავლეთისკენ. მზე ჩავიდა. ოქროს მდინარე გრგვინავდა იქვე განსის წინ. გაგიჟებული ტალღები ღელავდენ. განსს თავბრუ ეხვეოდა. კანკალით მოიხსნა ბოთლი წელიდან და შუა წყალ'ში გადააგდო. ბოთლის გადაგდება და საშინლათ გაჭრჭოლება ერთი იყო. წაბარბაცდა, შეჰყვირა და გადავარდა. წყალმა შთანთქა განსი. მდინარე მთელ იმ ღამეს გრგვინავდა და „შავ ქვაზე" გადადიოდა.

ჯოტე.

(შემდეგი იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯემს გარფილდის ცხოვრება

XI

ეხომ ისევ ჯემსის წასაყვანათ მოვედი ქალბატონო, თქვა ახალ-მოშენემ სმიტმა—მეზობელმა ძელურში შემოსვლისას. პიტნის გამარგვლის დროა და თუ ჯემსი არ მომეხმარა ვერაფს გავაწყობ.

— ჯემსი დიდის კმაყოფილებით დაგეხმარებათ,—უპასუხა გარფილდისამ,—მაგრამ მე მგონია მას ბევრი საქმეები აქვს ფერმაში.

— ერთი-ორი დღეც რომ მოიცალოს ჩემთვის—მეყოფა. ოცი კაცი მყავს უკვე.

— მაშ საკმარისი რიცხვი გყოლიათ მუშების, ჯემსი რაღათ გინდათ?

— საკმარისი კი არა, მეტიც არის, მაგრამ ჯემსი თუ არ იქნა, მე მათთან ვერას გავაწყობ; ის კი როგორც უნდა, ისე ატრიალებს მათ.

— ეგ პირველათ მესმის.—ღიმილით შენიშნა ელიზამ.

— სწორეთ რომ ასეა. უნდა შეეხედოთ როგორ მიუძღვის საერთო მუშაობას! აკინებს მუშებს, სხვა-და-სხვა რამეებს უამბობს, თვითონ კი ყველაზე უფრო მარჯვეთ და ცქვიტათ მუშაობს. ყველა მას შემოეხვევია გარს, თითქო ეშინიათ არ გამოტოვონ რამე მის ნაამბობიდანო, ბავშებს ხომ გაგიჟებით უყვართ, მზათა ვარ მეტიც მივცე ქირა, ოღონდ კი ალმითქვას წამოსწვლა.

— წადით, მოელაპარაკეთ თვითონ ჯემსს,—უთხრა დედამ,—მე ჩემ თავათ საწინააღმდეგო ამისი არა მაქვს-რა.

სმიტი განთქმული იყო ოგიოს შტატებში, როგორც პიტნის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოეაჭრე. ამ მცენარეს რიგიანი გამარგელა უნდოდა, ამიტომაც მეფერმე ფულებს არ ზოგავდა და ყოველ გაზაფხულობით მუშათ ქირაობდა ამხანაგობას. ჯემსსაც მის ბოსტანში სშირათ უმუშავნია. მას არა ჩვეულებრივი ნიჭი ჰქონდა, ამ მეტათ მოსაწყენ და დასაღალავ მუშაობის დროს, ამხანაგების შექცევა ძალიან ეხერხებოდა. ის ართობდა მათ თავის მჭერმეტყველებით, წარმოუდგენდა სხვა-და-სხვა საოხუნჯო სცენებს და მოუთხრობდა ზოგიერთ ხელოვნურათ დახატულ ბუნების სურათების ამბებს. ამიტომაც, რასაკვირველია, ახალგაზდა მუშები ემორჩილებოდენ გარფილდს! ახლაც მიიყვანა თუ არა სმიტმა ჯემსი თავის ფერმაში, მუშაობამ წინ წაიწია და ორი დღის განმავლობაში კიდევაც დამთავრდა საქმე

გარფილდიანთ ძელურიდან კნეველანდის ახლო, ათი ვერსის მანძილზე შენდებოდა ფარდული ნაცარწმენდილის ქარხანისთვის. აქაც რასაკვირველია საქმე უჯემსოთ ვერ გარიგდა. ჯემსის თავაზიანობამ, ჭკუა-მახვილობამ და მეტადრე მხიარულმა ხასიათმა მოხიბლა ქარხნის პატრონი მოხუცი ბერტონი.

— მოდი, მეგობარო, დამიდექი უფროს მუშათ ქარხანაში,—პატიჟობდა ის ახალგაზდა ხელოსანს. სწორეთ ძალიან მომეწონე, დამიდექი და არ წაგვებ.

— თუ დედა ნებას მომცემს, მის ნება-დაურთველათ კი ვერ დაგიდგებით,—მიუგო ჯემსმა.

— აი ამისთვის კიდევ უფროც შემიყვარდი. დაიძახა მოხუცმა. სწორეთ ამისთანა კაცი მინდოდა მეც.

— მერე რამდენი ხნით მოგინდებით?

— თუ გინდა სულ შენ სიცოცხლეში ჩემთან იცხოვრე, არ დაგითხოვ. 14 დოლლარს თვეში გაგიჩენ, ორი დოლლარით მეტს, ვიდრე სხვას ვაძლევ, ოღონდ დამიდექი.

თხუთმეტი წლისას რომ სამუდამო ადგილი ეშოვოს ვისმე—ეს მაშინდელ ახალმოშენეთა შორის ჯერ არავის გაეგონა! მერე წელიწადში 168 დოლლარი! ჯემსი სიხარულით აღარ იყო. რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორ წარმოიდგენდა ასეთ სახეირო ადგილის შოვნას. შინ დაბრუნებისას მაშინვე მიმართა რჩევისათვის დედას. დედას მაინც-და მაინც არ მოეწონა ჭაბუკის ამგვარი სურვილი. მართალია, ბერტონი კეთილი გულის კაცი იყო, მაგრამ გაუნათლებელი და მისი შინაური ყოფა ცხოვრება ბევრათ არ განირჩეოდა ქალაქის წვრილმან ვაჭრების ყოფა-ცხოვრებისაგან. უყვარდა სმა, მეტათ უზრდელი ლაპარაკი იცოდა. და ამიტომაც გარფილდისას არ მოსწონდა ჯემსის ბერტონთან მუშაობა. მაგრამ მოსიყვარულე დედა იძულებული შეიქნა ფულის მოგების გულისათვის დათანხმებულიყო.

— რა ვქნათ, შვილო, უნდა აიღო ადგილი ბერტონთან, უთხრა დედამ. მხოლოთ გახსოვდეს კი, რომ იქ სხვანაირი ამხანაგები მოგელიან. ბევრს ისეთს გაიგონებ და დაინახავ, რაც აქამომდე არ გაგიგონია და არ გინახავს მშობლიურ სახლში. შვილო, ჩემო, არ გაგიტაცოს ცუდმა მაგალითებმა.

პირველ ორშაბათსვე ჯემსი მივიდა ახალ ადგილზე. ქარხანა მეტათ ბინძურათ იყო. ბერტონი აღტაცებით დაუხვდა გარფილდს და მაშინვე მისცა პატარა ოთახი დასადგომათ. უბრალო მუშაობას ჯემსი იშვიათათ ჰკიდებდა ხელს. მას მიანდვეს შემოსავალ-გასავლის ანგარიში. იგი მიიღებდა სხვა და-სხვა ადგილიდან მოტანილ ნაცარწმენდილს, მუშტრიდან ფულს და მუშებს ჯამაგირს ურიგებდა. ყველაზე ადრე მოდიოდა ქარხანაში და ყველაზე გვიან მიდიოდა. საზოგადოთ ისე ასრულებდა თავის მოვალეობას, თითქოს ქარხანა მისი მშობლის კუთვნილება ყოფილიყო. მოხუცი, რასაკვირველია, ძალიან მინდობილი იყო მაზედ და მამაშვილური სიყვარულით ეპყრობოდა.

ერთხელ მოიტანა სოფლელმა ნაცარი და უთხრა:

— აბა მიიღეთ, აქ 25 ფუთია.

— მოიცა, ჯერ თვითონ ავრწყავ და მერე ფულსაც მოგცემ,— უპასუხა ჯემსმა, რომელიც მოსვლისათანავე დარწმუნდა, რომ საბრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო ბებერს საშინლათ ატყუებდენ ნაკარწმენდილის მოტანის დროს. გარფილდი შეეჩვია მოტანილი მასალის რაოდენობის თვალით გამოცნობას და ამიტომაც შეხედა თუ არა, მაშინვე თქვა: აქ 25 კი არა 22 ფუთზე მეტი არ იქნებაო. სოფლელი კი თავისას გაიძახოდა. მაგრამ საქმე მაინც იმით გათავდა, რომ გამყიდველი უნდა გამოტეხილიყო ტყუილში და დასჯერებოდა 22 ფუთის ფასს. მოხუცი შემთხვევით დაესწრო, როცა ჯემსი ფულს აძლევდა სოფლელს და ამას შემდეგ კიდევ მეტათ აფასებდა თავის ახალგაზდა თანაშემწეს.

ჯემსმა მუშა ამხანაგებზე კეთილი ზე-გავლენა იქონია, რამაც ძალიან მალე მოიტანა ნაყოფი: გარფილდისა არ ცდებოდა, როდესაც შვილი გააფრთხილა: „სულ სხვანაირ ამხანაგობაში ჩავარდებიო". მართლაც არავინ არ იგინებოდა ისე საზიზღრათ და ისე ხშირათ არ ახსენებდა ღვთის სახელს, როგორც ამერიკის ტყეების ზეინკლები და მენაკარტუტენი. ყმაწვილი არ შეუშინდა დაცინვას და დამცირებას უხრდელ მუშებისაგან და დაუწყო ჯერ მოფერებით და შემდეგ უფრო და უფრო მკაცრათ ამისთანა სისაძაგლეს გაკიცხვა. მუშები თანდათან გადაეჩვიენ და აღარ ხმარობდენ ლაპარაკში იმდენ უმართებულო სიტყვებს როგორც უწინ, ეს ძეტათ სასიამოვნო იყო ჯემსისთვის. ასე რომ ამ მხრით გარფილდისა უნდა დამშვიდებულიყო, მისს ჯემსს არ გადაედო სხვისი გლახა ჩვეულება, მაგრამ მაგიერათ, მას, ბერტონის სახლში მოელოდა ახალი განსაცდელი, რომელიც უფრო მავნებელი იყო. ეს განსაცდელი მდგომარეობდა რომანების კითხვაში, რომლებითაც გატენილი იყო ბერტონის წიგნთ-საცავი და რომლის კითხვაც რაღაც სენათ გარდაქცეოდა მის ერთათ-ერთ ქალიშვილის. ერთის სიტყვით ჯემსმა მიჰყო ხელი ყველა იმ რომანებს, რომელნიც სავსე არიან მეტათ მომხიბლველ თავ-გადასავლებით და ამაების კითხვამ ღვინოზე უძლიერესი ზე-გავლენა იქონია ჭაბუკის გონებაზე. მის ოცნებას ფრთები შეესხა. მას ესიზმრებოდა ზღვა, მოგზაურობა, უცნაური შემთხვევები

ეროვნული ბიბლიოთეკა

და რადგანაც მთელ ღამეს ამგვარ წიგნების კითხვაში ატარებდა, დღისით სულ თავბრუ-დასხმული დადიოდა. ბერტონს ფიქრათაც არ მოუვიდოდა, რომ ჯემსი ასეთ უშინაარსო და მავნებელ წიგნების კითხვით სტკბებოდა.

ღამით დარჩებოდა თუ არა ახალგაზდა გარფილდი მარტო, დაიწყებდა ოცნებას — რაც მას ჯერ არ ჩეევოდა. ხან წარმოიდგენდა ვითომ მიცურავს გემით საოცნებო ზღვაზე; ხან მოეჩვენებოდა ციხე-დარბაზები სასწაულებით სავსე, მიჰქროდა შორს, მეტათ შორს ამერიკის ახალშენიდან.

მერე დედას რას უზავ? როგორ დატოვებ აქ მარტო? ეკითხებოდა სინიდისი. მაგრამ რა ექნა როდემდის მეჭიროს დედის კალთა? დროა, სხვა ქვეყანაც ენახო, სხვა ადამიანები. ხომ ვერ ჩავკვდები ამ მიყრუებულ ადგილში? წარმოდგენილი მაქეს როგორ ეწყინება დედას, როდესაც გაიგებს, რომ მე ზღვისკენ მივილტვი... ადრე იქნება თუ გვიან უნდა გამოვუტყდე კი ამაში. ნუ თუ მთელი სიცოცხლე ძელურში უნდა გავატარო? თუმცა ასე ოცნებობდა ჯემსი, მაგრამ მაინც თავის მოვალეობას სვინიდისიერათ ასრულებდა. რომანების გარდა, საბედნიეროთ მას შეხვდა რამდენიმე წიგნი მა თემატიკის დარგიდან და კიდევაც ისარგებლა ამით.

— რა ჭკვიანი თავი გაქვს! ეტყოდა ხოლმე მოხუცი ბერტონი, რომელსაც ეტყობოდა, რომ თავი მოსწონდა ახალგაზდა მუშით კითხვაცა და წერაც იცი, ანგარიშიც შეენივრათ გესმის. დარჩი სამუდამოთ ჩემთან, ჩემი ქარხნის გამგეთ იყავი.

— ვერ დავრჩები აქ, — უპასუხა გარფილდმა, — მე მატროსობა მინდა.

— მატროსობაო! — წამოიძახა განცვიფრებით ბერტონმა. — ვინ ჩაგაწვეთა ყურში ეგ სისულელე? შენი ცოდნით მატროსათ წასვლა?!

— სხვა-და-სხვა ქვეყნების ნახვა მსურს. სულ ოგიოს ტყეში ხომ ვერ დავრჩები?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ერწმუნე მოხუცს, ნუ წახვალ ზღვაზე. აქ დარჩი, თუ ახლანდელსავით გულმოდგინეთ იშრომე, საკუთარ ქარხანას გააწყობ. ნუ წახვალ ჩემგან. ისე დაგასაჩუქრებ, რომ მადლობასაც მეტყვი.

ჯემსმა გაუგონა მოხუცს, მთელ ზამთარს ქარხანაში დარჩა; მაგრამ დადგა თუ არა გაზაფხული, თვით ბედმა გამოიყვანა ის იმ ცხოვრებიდან, რომელიც მას ვერაფრათ ეჭაშნიკებოდა. მას გაეხსნა, სულ სხვანაირი ფართო გზა.

პირველათ ჯემსის კეთილშობილურმა თავ-მოყვარეობამ გამოიწვია ეს ცვლილება მის ცხოვრებაში. ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ რომ ბერტონს ჰყავდა ქალიშვილი. ეს ქალი საზოგადოთ ძალიან თავაზიანათ ეპყრობოდა თავის მამის საყვარელ მუშას, მაგრამ ერთხელ თითქო შეშურდა, რომ ჯემსი გართული იყო მათემატიკურ ამოცანების კეთებაში და არ მიდიოდა დასაძინებლათ. ქალმა ვერ მოითმინა და როდესაც მისი დედ-მამა წავიდა დასაძინებლათ, უკმეხათ მივიდა ამოცანების კეთებით გატაცებულ ჯემსთან და დაუყვირა:

— რას უზიხართ ამდენ ხანს? მოჯამაგირეებს დროა, რომ ეძინოთ!

ჯემსს თვალები ცეცხლივით აენთო, მაგრამ თავი მაინც შეიკავა. არაფერი არ თქვა, წაავლო ხელი სანთელს და იმწამსვე გაჰქრა ოთახიდან.

— მე მოჯამაგირე!—ეუბნებოდა ჯემსი თავის თავს და ოთახში მიდი-მოდიოდა, როგორ გამიბედა ამის თქმა. ერთ წამსაც არ დავრჩები აქ, ხვალვე წავალ. ვუჩვენებ მას როგორი მოჯამაგირეც ვარ!... მოჯამაგირე! ვერ მოგრთვეს... მე მოსამსახურეები მეყოლება, და მოსამსახურეთ კი არავის დავუდგები. მთელ ღამეს გარფილდი ჰბორგავდა. მას ვერ მოეწონებია მისი ბატონის ქალიშვილის თავხედური შენიშვნა. განთიადისას შეჰკრა თავისი ბარგი და გაპოცხადდა ბერტონთან ანგარიშის გასასწორებლათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე დღეს მიედიეარ თქვენგან,—მოკლეთ და მკაფიოთ გამოუცხადა მან ბერტონს.

დამბაჩა რომ დაემიზნებინათ, ისე არ შეკრთებოდა მოხუცი, როგორც ამ სიტყვების გაგონებამ შეაკრთო.

— მიდიხარ? რათ? რისთვის? —წაილუღლუღა მან.

— მიედივარ იმიტომ — რომ მომბეზრდა ნაცარწმენდილის ხარშვა.

— ჯემს! ეს შეუძლებელია!—წამოიყვირა სასოწარკვეთილებით მოხუცმა.

— მე თქვენ გეუბნებით, მიედიეარ! უპასუხა ჯემსმა და ერთი სიტყვითაც არ შეიმჩნია რომ იგი შეურაცხყოფილი იყო.

ბერტონმა გაუსწორა ანგარიში გარფილდს, რომელიც შუადღისას უკვე თავის ძელურში იყო.

VII

— ძლიეს არ ვაეჩნდი შინ!—დაიძახა ჯემსმა დედასთან ქოხში შესვლისას,—მეყოფა ამდენი ნაცარწმენდილის ხარშვა.

— ძალიან მიხარია შენი ნახვა, შვილო, უთხრა დედამ, მაგრამ რა მოხდა? რამ მოგიყვანა ასე უცებ?

— რაც გინდა მითხარი, დედა ჩემო და მე კი გადავწყვიტე შინ დარჩენა; რამე სხვა სამუშაო უნდა ვიშოვო, ოღონდ მოსამსახურეთ არ ვიყო.

— რას ნიშნავს ეგა? ბერტონთან უსიამოვნება ხომ არა მოგიხდა-რა?

— არა, ბერტონი კაი კაცია. პირადათ მასთან საქმის დაჭერა მეტათ სასიამოვნოა.

— მაშ რისთვის დაანებე თავი? ჯამაგირს ხომ არ გაძლევდა ცოტას?

ჯემსი მოუყვა დედას, რაც წინა დღით შემთხვეოდა.—აი ჩემი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაშოვნი სამოცი დოლლარი,—დაათავა მან და ფულიც მიაწოდა დედას,—აიღე, ეს სულ შენია.

— ფულისათვის მადლობელი ვარ შვილო, ოჯახში კარგ საქმეს გვიზავს,—მიუგო დედამ, რომელიც აქამდე ხმას არ იღებდა და გულდასმით უგდებდა ყურს ყმაწვილს,—მაგრამ, ჩემის აზრით დაგიჩქარებია წამოსვლა.

— დამიჩქარებია თუ არა, ახლა ყოველივე გათავებულია. რასაკვირველია, საწყენია კარგი ადგილის დატოვება, მაგრამ ისევ ხომ ვერ დავბრუნდები.

— წარმომიდგენია, რა რიგათ გულ-ნატკენი იქნება ბერტონი, ყოველთვის გეფერებოდა, პატივსა გცემდა – შენიშნა გარფილდის ქვრივმა.

— მართალია, მაგრამ, როგორც ეხედავ, შენ არაფრათ აგდებ მე რომ შეურაცხყოფა მომაყენა მისმა თავ-გასულმა ქალიშვილმა.

— მე რომ ვყოფილიყავი, ყურადღებასაც არ მივაქცევდი. სწორეთ გითხრა, იმის სიტყვებში არავითარ შეურაცხყოფას არ ვხედავ. არაფერი უპატიოსნება არ გამოიხატება „მოჯამაგირეს“ დაძახებით. მით უმეტეს რომ შენ კარგი მოჯამაგირე იყავი.

— საქმე მაგაში როდია, ჩემო დედა! მე სრულიათაც არ მიმაჩნია უპატიოსნობათ მოჯამაგირეთ წასვლა, მე შეურაცხმყო იმ კილომ, რომლითაც შენიშვნა იყო წარმოთქმული.

ბერტონის ქალს ცხადათ სურდა ჩემი დამცირება. დღეის იქით მე ვაძლევ ჩემ თავს სიტყვას, რიგიან კაცათ გამოვიდე და კიდევაც მივაღწევ ამ მიზანს.

— ძალიან კარგი შვილო, ოღონდ დაუმატე, ღვთის შემწეობით თქო,—შენიშნა დედამ.

— ახალ საქმეს მოვძებნი.

— მაშ შინ არ დარჩები?

— არა. გარეთ უფრო ბევრს იშოვის კაცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორც გინდა, შვილო, ისე ჰქენი; ოღონდ შენთვის კი იყოს კარგი, დარწმუნებული ვარ გზას გაიკვლევ.

— იცი, დედა, რა გითხრა,—მოარიდებით წარმოთქვა ჯემსმა: — ძალიან მინდა ზღვის სამსახურში შესვლა.

ამ სიტყვების გაგონებაზე გარფილდისას კინაღამ გულს შემოეყარა.

— ჯემს!—წამოიყვირა გაფითრებულმა დედამ,—როგორ მოგივიდა თავში ასეთი აზრი? არასფრის გულისათვის არ დაგთანხმდები ამაზე. რაც გინდა იყავი, ოღონდ ზღვას თავი დაანებე.

— რატომ დედა?

— იმიტომ რომ ზღვაში სამსახურით 'მორს ვერ წახვალ.

— პირ-იქით! მე თავის დროზე გემის უფროსიც ვიქნები და ვინ იცის, შეიძლება, საკუთარი გემიც მქონდეს.

— თუ არ გინდა შენი დედის წყენა, ნუ ახსენებ ზღვის სამსახურში შესვლას, ნუ გამაუბედურებ!—დაათავა გარფილდისამ.

ამაზედ შეწყდა ბაასი. ჯემსი წავიდა ფერმის დასათვალიერებლათ და რიგზე მოიყვანა ყველაფერი, რაც უიმისოთ გაფუჭებულიყო. მისი უფროსი და ხეთა ამ დროს უკვე გათხოვილი იყო და ნიუ-ბურგში ცხოვრებდა. ერთ დღეს ბიძამ—ბოიტონმა ნიუ-ბურგიდან შემოთვალა; შეშის მჭრელები და მხერხავები მჭირდება, მოვიდეს ჩემთან ჯემსი და აიღოს იჯარით შეშის დაჭრა და ფიცრების დახერხვაო. ელიზას ეს ძლიერ სასიამოვნოთ დარჩა, რადგან ფიქრობდა, შეიძლება ახალმა საქმემ დაავიწყოს ჩემ შვილს საშიში ოცნებები ზღვის სამსახურის შესახებაო, და ამიტომაც ჯემსი დაჩქარებით გაამგზავრა ნიუ-ბურგში. იქ ძვირათ არ დაუჯდებოდა, რადგანაც დასთან იცხოვრებდა. სამი დღის შემდეგ ახალგაზდა გარფილდი ბიძის სახლში იყო, ეს მოგზაურობა მას, რასაკვირველია, ფეხით მოუხდა.

— ჩემ ჯემსს გაუმარჯოს!—მხიარულათ მიეგება ბიძა და ხელი ჩამოართვა.—როგორ გაზდილხარ და დავაჟკაცებულხარ! საჭრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი და სახერხი ბევრი მაქვს ტყეში, მაგრამ არ ვიცი ამნაირი მუშაობა მოგეწონება თუ არა. ჯემსმა უთხრა, შეშის დასაჭრელათ არსად ეყოფილვარ, დახერხვა კი კარგათ მაქვს შესწავლილიო, თუმცა დახერხვა უფრო მღალავს დაპობაზეო.

— მაშ კარგი,—უთხრა ბიძამ,—რამდენ საჟენსაც დამიპობ იმდენს ნახევარ დოლლარს. მოგცემ რამდენ დღეს მოანდომებ 50 დოლლარის შოვნას?

— ორმოცდა ათ დღეს,—სწრაფათ მიუგო ჯემსმა.

— მეტიც იყოს! გაიცინა ბიძამ, ვაჟკაცისათვის ეგ შესაძლებელია, მაგრამ, რომ თქვას კაცმა, შენ ჯერ ბავში ხარ.

— მე თამამათ შემიძლია დღეში ორი საჟენი შეშის დაპობა განაცხადა ჯემსმა.

—ყოჩაღი იქნები, თუ კი მოახერხე! მაგრამ გასაკვირველიც არ არის; შენ ბევრათ უფრო ლონიერი შეხედულობა გაქვს ჩემ მუშებზე.

გაათავა თუ არა ლაპარაკი ბიძასთან, ჯემსი დისკენ გაექანა. დას ძლიერ ესიამოვნა მისი დანახვა და მისცა საკუთარი ოთახი თავის სახლში.

ბატუა.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზღარბები*).

(ამბავი)

I.

ცივდა. ახლა კი დროა საზამთროთ მოვემზადოთ.

— კარგი. „სიფრთხილეს თავი არა სტკივა“... როგორა ფიქრობ, ქაჯან, აქვე სადმე დავიზამთროთ, თუ სხვაგან წავიდეთ?

— ისევ შარშანდელ ბინაზე დავიზამთროთ. მე იქ ძალიან მომეწონა: საჯმელი ბევრი იყო, ჩვენი მტრები იქ არა ჩანდენ... ხო გახსოვს, როგორ კარგათ დავზარდეთ შვილები?— ასე ლაპარაკობდენ თავიანთ ენაზე ზღარბები.

დაბინდდა. ზღარბები ტყიდან გამოცოცდენ და ვენახისაკენ გაემგზავრენ. ვენახამდის ერთი ვერსის მეტი არ

*) გადმოკეთებულია რუსულიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნებოდა, მაგრამ ზღარბებისათვის ეს მეტათ დიდი და სახიფათო მგზავრობა იყო. ისინი დიდი სიფთხილით მიდიოდენ, მალ-მალე შედგებოდენ, აქეთ-იქით მიიღებდენ ცხვირებს, ჰაერს სუნთქავდენ, რომ შეეტყოთ, ახლო ხომ არსად იყვენ იმათი მტრები, არც თავიანთ კუჭებს ივიწყებდენ: თუ მოახელებდენ მატლს, ან ჭიას, გემრიელათ შეჭამდენ და ისევ გზას გაუდგებოდენ. ბევრი ხანი იარეს ჩვენმა ეკლიანმა მეგობრებმა და, ბოლოს, მიუახლოვდენ ვენახს. ამ დროს ვენახში მაღლმა ყეფა ასტეხა. შეშინდენ ზღარბები და მოიბღუნძენ. თუმცა მაღლმა მალე შეწყვიტა ყეფა, მაგრამ ფრთხილი ზღარბები მაინც არ ინძრეოდენ. ბოლოს ერთმა ზღარბმა ცხვირი გამოჰყო, ყური დაუგდო, ჰაერი დასუნა და მხიარულათ დაისრუტუნა. მაშინ მეორე ზღარბიც გაიშალა, გაიარეს ცოტა მანძილიც და მშვიდობით შეძვრენ ვენახში. უეცრათ მოესმათ რიღასიც ჩუჩუნი და ისევ მოიბღუნძენ. იგრძნეს ბაყაყის სუნი და მალე დაფაცურდენ, მაგრამ გვიანღა იყო: ბაყაყმა ისე მარდათ ისკუპა რამდენჯერმე, რომ ზღარბებმა თვალიც ვეღარ მოჰკრეს. შეენანათ, რომ ვახშამი ხელიდან გაუსხლტათ, მაგრამ რაღას უშველიდენ! დაღალულები მიიკუნჭენ ჯაგის ძირში და დაიძინეს.

II.

სიცივეები დაიჭირა, ღამ-ღამით კიდეც ჰყინავდა. ჩვენი ზღარბები შეუდგენ საზამთრო სოროების მზადებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოთხარეს ჯაგის ძირში ბატარა ორმოები, გარშემო წიწკები და ჩალა-ბულა მოუმწკრიეს, შიგ ბლომათ ჩააგეს ხავსი, ჩალა და ხის ფოთლები. უნდა გენახათ მერე რა სასაცილოთ მუშაობდენ ზღარბები! მიაგროვებდენ ფოთლებს, გადაბრუნდებოდენ და ზედ დაიწყებდენ გორაობას; ფოთლები ეკლებზე აესხმებოდათ და სიამოვნებით წაბძანდებოდენ სოროსკენ. გეგონებოდათ ფოთლების გროვა მიცოცავსო. ზღარბები აღარც კი მოჩანდენ. სოროსთან დაიურევინებდენ ბარგს და მერე შიგ ჩააგებდენ.

ბევრი ჯაფა დასჭირდათ ჩვენ ზღარბებს სოროების მოწყობაზე, შვენიერათაც მოამზადეს და, როცა ყინვები დაიწყო, ისინი ჩაძვრენ სოროებში, ზედ ფოთლები დაიყარეს, მოიკუნჭენ და მიეცნ ზამთრის ძილს, ამ დროს რო გენახათ ისინი, მკვდრები გეგონებოდათ, გულები ოდნავ-ღა უცემდათ, თითქო არც კი სუნთქავდენ.

III.

ჩვენ ზღარბებს არც კი გაუგიათ, როგორ გაიარა ზამთარმა.

გაზაფხულდა. დათბა. ჯერ მამალ ზღარბს გამოეღვიძა. ფოთლებიდან ცხვირი გამოჰყო და იყურება. თბილა. მზე საამურათ ანათებს. ძოეწონა ზღარბს, გაჩუჩუნდა და ნელ-ნელა ამოძვრა სოროდან. ძაგრამ რა მოსვლია ჩვენ ზღარბს? განა შემოდგომაზე ასეთი იყო? ასე რამ გაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლასტა მუცელი? აკი სისუქნით ძლივს-ღა დაბაჯბაჯებდა! საცოდავი ცილიერი ძვალ-ტყავი-ღა გამხდარა! ან კი რა დაემართებოდა! აბა ერთი იფიქრეთ, მთელი ზამთარი სომ ნაწილი არ უნახავს გემოთ.

დასთბა ზღარბს, გამხიარულდა. მივიდა მეორე სოროსთან მეგობრის სანახავათ. ფიქრობს: კი არ გაფიჩხებულიყოს ი გასაქრობი, რატომ გარეთ არ გამოდისო? იმასაც გამოჭღვიძებოდა, იწვა ფოთლებ ქვეშ, ამთქნარებდა, იზმორებოდა, არ ეთმობოდა თბილი სოროს მიტოვება. დაინახა თავისი მეუღლე, გაესარდა და თითონაც ამოძვრა. მიესაუბარლენ ისინი ერთმანეთს, მიულოცეს გაზაფხულის მოსვლა, და მიიარ-მოიარეს ახლო-მახლო საჭმლის საშოვნელათ. მერე რანაირათ შიოდათ საცოდავებს! საჭმელი ჯერ ცოტა იყო. დაუწყეს მიწას თხრა, იპოვეს ორიოდე ჭია-მატლი, მოიმადლიერეს კუჭები და დაიწყეს მხიარულათ ცელქობა.

IV.

თანდითან უფრო დათბა. ხეები გაიშალენ. მინდვრები მწვანეთ ბიბინებდენ. თოვლი შორს მთის წვერებზე-ღა მოჩანდა. ათასნაირი ჭია-ღუა ირეოდა. ბაუაუებიც გამოჩნდენ. ჩვენი ზღარბები დიდ სიხარულში იყვენ. საჭმელი თავზე საყრელი ჰქონდათ. აქ ჭიას იპოვიდენ, იქ ლოკო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კინას გადაულაპავდენ; აგერ სკუპ-სკუპით ბაუაეი მიუახლოვ-დებოდათ, იმასაც წაწვდებოდენ და გემრიელათ ჩააკნატუ-ნებდენ. ხანდისხან მინდვრებშიაც დადიოდენ სანადიროთ. იქ ხშირათ შეხვდებოდენ ხოლმე თავიანთ საუვარელ თა-გვებს.

რამდენიმე კვირას შემდეგ დედა-ზღარბმა გააჩინა ხუ-თი შვილი. ისინი ჰატარა თაგვის ტოლები იუვენ. თვა-ლები დახუჭული ჰქონდათ, ტანი თითქმის მთლათ ტიტ-ველა. დედა დიდ ტანჯვაში იუო იმათგან. უველანი შე-წკმუტუნებდენ, საჭმელსა თხოვდენ. ის ჯერ ძუძუს აწო-ვებდა შვილებს. როცა ისინი მოიზარდენ, ამოეზარდათ ეკლები, თვალები აეხილათ, დაიწუეს ცოცვა, მერე სირბი-ლიც. მაშინ დედა უზიდავდა იმათ მატლებს, ჭიებს, ლო-კოკინებს, თაგვებს, ბაუაუებს. მერე ნელ-ნელა ნადირობა-საც შეაჩვია. მაგრამ შორს კი არ წაიუვანდა ხოლმე: ეში-ნოდა ხიფათი არაფერი შეემთხვესთ ჩემ ჰატარაებსაო. —ბევ-რი ჯაფისგან დედა-ზღარბი გახდა. თავისი მეგობარი არც კი ეშველებოდა იმას შვილების გამოზრდაში. ათასში— ერთხელ თუ მიუტანდა შვილებს თაგვის წრუწუნას, ან ჭიას—ისიც კარგი იუო. ღვთის წინაშე, ერთხელ კი ჩი-ტის ბარტეიც მოუცუცულა...

დედა შვილებს არა შორდებოდა, მამა კი თავისთვის დასეირნობდა. მობინდდებოდა თუ არა, სანადიროთ გაემგ-ზავრებოდა და გათენებისას დაბრუნდებოდა. მეტადრე უა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებში უყვარდა ნადირობა. იქ ბლომათ იყვენ მსუქანი თაგვები. ზღარბს ძალიან უყვარდა იმათი ხორცი.

V.

სანდრო და ნუცა მხიარულათ დარბოდენ ვენახში. „ალმასა“ ძაღლიც თან დასდევდათ. ყმაწვილებმა რამდენჯერმე ყივილ-ხივილით გაირბინეს ზღარბების ბუნაგთან. ზღარბები სულ-განაბულები ისხდენ ჯაგებში. მამამ ყმაწვილებს დაუძახა. ისინი ქოხისკენ გაიქცენ. ალმასაც დაედევნათ. უეცრათ შედგა და რაღასაც ყეფა დაუწყო. ნუცამ და სანდრომ ჯოხები მოიმარჯვეს და მიუახლოვდენ ალმასას. ვაზის ძირში მობღუნძული ზღარბი დაინახეს. ყმაწვილებმა დაუწყეს ყურება... ჰყეფს, ჰყეფს ალმასა, გაჯავრებული ეცემა ზღარბს, ეხვლიტება ტუჩებში იმისი ეკლები და უფრო ასტეხს ყეფას. ყმაწვილები ახლო მივიდენ და შინჯვა დაუწყეს ზღარბს. არც თავი უჩანდა, არც ფეხები. ეგდო, როგორც ეკლის ბურთი. სანდრომ ჯოხით გააგორა ზღარბი.

— ახლა რა ვუყოთ ამ ზღარბს?— ჰკითხა იმან დას.

— გაიქე წყალი მოიტა: დავასხათ და გაიშლება.

— მოდი შინ წავიყვანოთ.

— კარგი, წავიყვანოთ. მაგრამ აბა როგორ?

—კაბის კალთაში ჩაისვი და ისე წამოიყვანე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რო მიკბინოს?

—გიკბინოს-კი არა და!.. მაგას ისე ეშინია, რო თავსაც არ გამოჰყოფს.

ნუცამ წაიჩოქა მიწაზე, გაშალა კაბის კალთა. სანდრომ ჯოხით ზედ შეაგორა ზღარბი, მერე წამოსტენ და ქოხისკენ მხიარულათ გაიქცენ. ნუცამ სიცილ-კისკისით დააგორა ზღარბი თავის მამის წინ, რომელიც გოდორში კიტრებს აწყობდა.

— რა ამბავია? რა გიპოვნიათ?—გამოეხმაურა ემაწვილებს ქოხიდან დედა.

—ზღარბი დავიჭირეთ, დედილო, ზღარბი! ერთ-ხმათ მიამახეს ემაწვილებმა.

—ეგ კარგი მონადირე გიპოვიათ, შვილო,—უთხრა მამამ,—წაიყვათ შინ და აჩვენებს სეირს თაგვებს!

—განა ზღარბი თაგვებსა ჭამს?—ჰკითხა ნუცამ.

— ჭამს და აგრე! იმ თქვენ კატას-კი აჯობებს და... რამდენი ხანია მე იმისი დაჭერილი თაგვი აღარ მინახავს. სულ თქვენი ბრალი-კია. რაც თქვენ იმას აჭმევთ... კატა მშიერი უნდა იყოს, რომ თაგვები დაიჭიროს.

—მართლა გველებსაცა ჭამენ ზღარბები?—ჰკითხა ივანეს ცოლმა.

—ჩემი თვალით რო არ მენახა, არ დავიჯერებდი. განა შენთვის არ მიამბია? კარგა ხანია მას აქეთ... ჯერ შენ არც-კი გიცნობდი. აი როგორ იყო: მე ჩვენი დიდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბალის კენწეროზე ვიუავი და ბალსა ვერეფდი. ვნახოთ ძირიდან რაღაცა სისინი შეგოძესმა. დავაკვირდი და დავინახე, რო ღობის ძირში ერთი გველი და ერთი ზღარბი ჩხუბობდენ. ეცემოდა გველი ზღარბს ცხვირ-პირში და ფეხებში და ჭკბენდა. ზღარბი არხეინათ გაილოკდა ნაკბენ ადგილებს და უფრო-და-უფრო უახლოვდებოდა გველს. გველი იხლაკნებოდა და თავს არიდებდა. მე სულგანაბული სეირს ვუყურებდი. გაკაპასდა გველი. დააღო პირი და ზედ ენაზე-კი უკბინა ზღარბს. იკადრა იმან ენის შეეოფა. გველი კიდე მოემზადა საკბენათ. ზღარბი უეცრათ მოიბღუნა. ეცა გველი და ცხვირ-პირი-კი დაიგალა ი ვერანის ეკლებზე. მერე უეცრათ ისკუპა ზღარბმა და შიგ ქეჩოში კი წასწვდა შეჩვენებულს გველს. იხლაკნებოდა გველი, მაგრამ ტეუილათ: ზღარბმა თავი მოაკვნიტა. მერე თავი ანება გველსა და არხეინათ დაისვენა. თან ნაკბენ ადგილებს ილოკდა. მეგონა მოერევა გველის შხამი და გაიჭიმება მეთქი ზღარბი. მაგრამ რა ბძანებაა! ვნახოთ საიდანღაც მეორე ზღარბიც გამოცოცდა და ორივემ დაუწეეს გველს ჭამა.

ამ ამბავს გულმოდგინეთ ისმენდენ სანდრო და ნუცა, თან ზღარბს თვალს არ აშორებდენ.

—აი დასწეევლოს სამას-სამოცდა-სამმა წმინდა გიორგიმ! ეტეობა ვიღაცა გვძრახავს, რო ი შეჩვენებულ გველს ვახსენებთ. გოგო, შვილო, ერთი ე ქვა გადააბრუნე,—უთხრა დედამ ნუცას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუცამ ქვა გადააბრუნა.

—მამილო, რა ვაჭამოთ ზღარბს?

—რა ჭმევა უნდა? ახლა საქმეთ-კი ნუ გაიხდით მაგას!

– არა, მამიჯან, რა უევარს?

— თუ მალიან გინდათ გაუმასპინძლდეთ—რძე აჭამეთ და მერე-კი თითონ იპოვის საჭმელს. ეგ სხვა ბიჭია! თავს არსად დაიზარალებს.

ამ ლაპარაკის დროს ისე ეგდო ზღარბი, რომ არცკი განძრეულა.

ნუცამ ხელი წამოავლო ჯამსა და ქოხს უკან გაიქცა. იქ ერთი მწვეტელი თხა ებათ. ნუცამ ჩამოწველა თხა. მოარბენინა რძე, ჩაასხა ნატეხარში, შიგ ჰური ჩაუგულა და მიუდგა ზღარბს. ეველანი მოშორდენ. ემაწვილები ვაზებიდან ადევნებდენ თვალს. ვნახოთ ზღარბი გაინძრა. გამოეო დინგი, გაშალა ფეხები, ჭაერი დაჭსუნა და წასვლა დააპირა. ამ დროს სანდროც იქვე დაიბადა. ზღარბი მოიბღუნძა. ემაწვილები ისევ ‘ოშორდენ. გავიდა რამდენიმე სანი და ზღარბი ისევ გაიშალა. მივიდა რძესთან და ჭამა დაუწეო. მერე კიდე დააპირა გაქცევა, მაგრამ ტეუილათ: სანდრო და ნუცა თვალს არ აშორებდენ. საღამოზე ზღარბი შინ წაიეანეს.

VI.

სანდროს და ნუცას მალიან უნდოდათ ენახათ, როგორ იჭერს ზღარბი თაგვებს. იმათ აქეთ-იქით ჰურის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამცეცები დაჭყარეს, მერე ავიდენ ტახტზე, წაიხურეს საბნები და ცალი თვალით უყურებდენ ზღარბს. ის კაი ხანი მობღუნძული ეგდო, მერე გაიშალა და სიარული დაიწყო. ყმაწვილებს ბევრი ცდა არ მოუნდათ: კიდობანს ქვეშიდან გამოძვრა ერთი თაგვი და სუნსული დაიწყო. დაფაცურდა ზღარბი, წასწვდა და დაიჭირა თაგვი. ყმაწვილების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მაგრამ მოითმინეს თავიანთ სამალავ ქვეშ და უყურებდენ, როგორ აკნატუნებდა ზღარბი თაგვსა. იმ ღამეს ზღარბი შინ დაამწყვდიეს. ის მთელი ღამე სულ დადიოდა, ჩუჩუნებდა, არახუნებდა, თაგვებს აკნატუნებდა.

—შვილო, გაიყვათ, გადააგდეთ ე ზღარბი, თორემ ამალამ ეგ ჩვენ აღარ დაგვაძინებს!

—არა, დედიჯან, ცოდოა, ძაღლები შეჭამენ.

—კარგი და... სვალ დილით-კი უეჭველათ წაიყვანეთ, თორე, თქვენმა გაზდამ, გადაგიგდებთ.

—ჰო, დედილო, ჩვენ თითონ ჩავიყვანთ ვენახში და სადაც ვიპოვეთ იქვე გავუშვებთ.

—ვინ იცის მაგისი ჰატარა შვილები მშივრები არიან და ელიან საჭმელს მოგვიტანსო.

—დედი, ჰატარა ზღარბებიც ეკლიანები არიან?—ჰკითხა ნუცამ, მაგრამ ჰასუხის მაგიერ დედის ნელი ხვრინვა მოესმა, და აღარ გამოაფხიზლა დაღალული დედა.

ძალე ყმაწვილებსაც ტკბილათ ჩაეძინათ. კატა წინდაწინვე კარში გააგდეს, ზღარბს არ წაეჩხუბოსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანდრომ სიზმარში ნახა, ვითომ დედას ადრე გაეღო კარები, შემოსულიყო „ალმასა“ და ჰკეფდა ზღარბს. უეცრათ გამოელვიძა. გათენებულიყო კიდეც. ემაწვილები ადგენ, საჩქაროთ ჩაიცვეს ტანთ, ჰირი დაიბანეს, აიღეს ჰურის ეუები და ბაღისკენ გაიქცენ. ზღარბიც თან წაიყვანეს და ბაღის ბოლოში გაუშვეს.

გაეხარდა ზღარბს, ნელ-ნელა ჯაგებისკენ გაცოცდა, თან უკან იხედებოდა—ხომ არ მომდევენ დასაჭერათო. სანდრო და ნუცა შორი-ახლო იდგენ და უყურებდენ ზღარბს. ის მთლათ მიიმალა ჯაგებში, მხოლოთ ფოთლების ფაჩი-ფუჩი-ღა ისმოდა.

—მშვიდობით, ზღარბო, მშვიდობით! შენი შვილები მოგვიკითხე! მიამახეს ემაწვილებმა და მხიარულათ გამოიქცენ.

VII.

ზღარბმა იმ ღამესვე იპოვა თავისი ოჯახობა.

ვენახში ეოფნა კარგი იყო. ხილი შემოვიდა. ეურმენიც მწიფდებოდა. თუმცა ყველა ამას ზღარბები ძალიან ეწყობიან, მაგრამ დედამ მოინდომა ტყეში წაეყვანა შვილები და იქაობაც გაეცნობებია.

მეორე დღეს ზღარბების ოჯახობა ტყისკენ გაემგზავრა. ახლა-კი უხიფათოთ ვეღარ გადარჩენ: ეცრათ ერთი მელია წამოეწიათ. იმათ ბედზე ჯაგებიც იქვე იყო. ჰა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარა ზღარბები შემვრენ და მოიბღუნძენ. დედა-ზღარბმა შვილებს დაუთმო და ვეღარ მოასწრო შემალვა. იმისი მეგობარი-კი ნადირობაში გაერთო და ასცდა ცოლ-შვილს. დედა-ზღარბი მოიკუნჯა და ეგდო უძრავათ. მელიამ ტოტი წამოჭკრა, მაგრამ ზღარბი არ იშლებოდა. უჭირავს მელიას ტოტებში ზღარბი, მაგრამ შეჭმას-კი ვერ ახერხებს. დიდი ეშმაკია მელია: ზღარბის ოხტშიაც მოვიდა. თავქვეშ ბატარა რუ მოწანწკარებდა, მელიამ ნელ-ნელა ტოტით ჩააგორა ზღარბი თავქვეში და წყალში ჩააგდო. ზღარბს წყალი ეჯავრება, გაიშალა და ფართხალი დაიწყო. მელიასაც ეს უნდოდა: იგდო ბირში და გაგლიჯა ზღარბი. ეგემრიელა. მოინდომა დანარჩენების შეჭმაც, მაგრამ ტეუილათ. ჯაგები ისე იყო ერთმანეთზე გადახლართული, რომ მელიამ იქ ვერ შეატანა. ამ დროს კიდეც გათენდა და მელია თავის სოროსკენ გაიქცა.

დაობლდენ ჩვენი ბატარა ზღარბები. მამამ გული აიცრუა იმათზე. თითონ სხვა მეგობარი იშოვა და თავისი ძველი ამხანაგი აღარც-კი მოჰგონებია. მაგრამ იმედია ბატარა ზღარბები ცოცხლები გადარჩებიან: დედამ კარგათ დაწვრთნა ისინი, არაფერი დაუზოგია. უბედურმა სიცოცხლეც ხომ შესწირა შვილებს.

ალ. ბარნოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირუტყვთა ჭკუა-გონება.

ჩემო პატარა მკითხველებო! როგორ მოგეწონათ ამას წინათ ჩემგან ნაამბობი პირუტყვთა ჭკუა-გონებაზე? ხომ არ დამიწუნეთ? მაგრამ, არა: მე იმედი მაქვს, რომ თქვენ ცნობის მოყვარეობას დააკმაყოფილებდა ის ამბები. თქვენი ცნობის მოყვარეობა ხომ აღძრულია ყოველივე საგნის დაკვირვებით, იმათი თვისების ერთი-ერთმანეთთან შედარებით, და აბა იმისთანა ამბებს, რომლებიც შეეხება სულდგმულთ ცხოვრებას, რომელთაც თქვენ ყოველ დღე ხედავთ, რასაკვირველია, მუდამაც დააკვირდებით, მუდამაც დაგაფიქრებთ იმათი ყოფა-ქცევა, და ზოგს იმათს მოქმედებას მოიწონებთ, ზოგს დაიწუნებთ, ზოგს იმათგანს თვისებისა და ზნე-ჩვეულებისა გვარათ შეიყვარებთ, ვინც, რასაკვირველია, ამისი ღირსი იქნება. აი, თუნდა, ჯერ ადამიანები აეიღოთ. ზოგი იმათგანი ჩვენ მეგობრათ, ამხანაგათ გაგვიხდია, ზოგი კი მტრათ; რამდენი ადამიანია, რომ ჩვენ თითქო მოკეთობას გვიწევს, ერთგულებას გვიჩენს მაოლოთ მისთვის, რომ ჩვენგან რაიმე სარგებლობას ელის. ძაღლი, კი მაგალითათ, ერა ჰგავს ამ გვარ ადამიანს: ის ანგარებას არ მისდევს, ის პირად სარგებლობას არ უყურებს; ვისაც შეიყვარებს, ეყვარება და ეყვარება ერთნაირათ; ერთგულია მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცოცხლის უკანასკნელ წამამდე, ერთნაირი გულწრფელი სიყვარული აქვს თავის პატრონისადმი, ვინც უნდა იყოს მისი პატრონი: მეფე თუ გლეხი, მდიდარი თუ გლახაკი... იმ ერთგულებითა და თავ-დადებით, რომლითაც ის ემონება თავის პატრონს, თუნდაც ის სასტიკი, ავი და მრისხანეც იყოს, ძაღლი არა თუ ყველა სხვა პირუტყვებს, ზოგჯერ ბევრ ადამიანსაც აღემატება... აბა ერთი თვალებში შეხედეთ როდისმე და კარგა დააკვირდით ძაღლს: რა სიწრფელე, რა უეშმაკობა იხატება მის თვალებში!..—

როგორც იცით, ძაღლები სხვა-და სხვა ჯიშისა და ტანისაა, ამ მხრით ისინი დიდათ განირჩევიან ერთმანეთისაგან, მაგრამ ერთგულებისა და სიყვარულის გრძნობით კი – ძალიან ცოტათი. ყველა გვარის ძაღლი თავის რიგზე უწევს ადამიანს სამსახურს. მწევარ-მეძებრები ნადირობაში შველიან და პატრონის სიამოვნებას ცდილობენ; ქოფაკი ძაღლები კარ-მიდამოს ყარაულობით უწევენ პატრონებს სამსახურს; მეცხვარის ძაღლები ცხვრის ფარას იფარავენ გარეულ ნადირთაგან; ფინიები სახლში ართობენ თავიანთ პატრონებს... მაგრამ ისეთი ძაღლებიც არიან, რომლებსაც ეტლებში აბმენ, როგორც ხარსა და ცხენს, საკერავ მაშინას ატრიალებინებენ, ბაზარში საეაჭროთ აგზავნიან და სხვ...

ხალხმა ისარგებლა ძაღლის ამ გვარ გულ-კეთილობით და შეასწავლა მათ ადამიანების გაჭირვებისაგან დახსნა ხმელეთზე, თუ წყალში. ძაღლის ერთგულებით ხალხს ათასობით დაუხწევია თავი მოულოდნელ უბედურებისა და სიკვდილისაგან...

რასაკვირველია, ძაღლებშიაც არის განსხვავება, როგორც ადამიანებში: მათ შორისაც არის გონიერი და უგუნური; მშვიდი და ბრაზიანი, კეთილი და ბოროტი, ეშმაკი და გულ-უბრყვილო, გულადი და მშიშარა, წყნარი ხასიათისა და ანჩხლი. მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ ყველა ამ თვისებას, ძაღლები ძალიან ხშირათ იმ პატრონებისაგან ითვისებენ, რომელთაც ისინი გაუზდიათ, და შემდეგში ყოველივე თვისება ხომ ჩამომავლობაზე გადადის და მემკვიდრეობით

ეროვნული ბიბლიოთეკა

სენათ ხდება. გონიერული აღზდა ხშირათ არბილებს, ამშვიდებს პირუტყვთა მხეცურ ჩვეულებას და ამიტომ თუ გინდა რიგიანათ აღზარდო, ყოველთვის ჯერ შენ უნდა იყვე კეთილ-გონიერი, მომთმინო და სიმართლის მოყვარული...

აბა იფიქრეთ, ზოგჯერ რა უსამართლოთ ვექცევით ძაღლს, ამ ჩვენ გულითად მეგობარს! ზოგი მას უმსგავს, საზიზღარ მძოვრათა თელის და არც კი კადრულობს იმაზე ლაპარაკს, მის სახელის ხსენებას და თუ ახსენებს, ჯერ უთუოთ „უკაცრაული პასუხიაო“ დაატანს და რადგანაც მისი ნამდვილი სახელის ხსენება უზდელობათ მიაჩნიათ, „ოთხ-ფეხათ“ დაასახელებს!.. არა, ჩემო მკითხველებო, ძაღლზე ღირს ლაპარაკი და წერა! ბისი მოქმედება ჩვენთვის კარგი მაგალითია, რომელსაც უნდა მივბაძოთ. მაშ ყური მიგდეთ, მე ამ წერილში ძაღლებზე უნდა გელაპარაკოთ და იმათ ცხოვრებიდან რამდენიმე შემთხვევა უნდა გიამბოთ.

ერთი მოურავი სასტუმროში ჩამოხტა და თავის ცხენს რაღაც მიზეზით შეუბრალებლათ მათრახით ცემა დაუწყო. ამ სასტუმროს ეზოში ცხოვრებდა ქოფაკი ძაღლი. ამან რომ პირუტყვის ცემა დაინახა, ალბათ შეეცოდა ის, გული მოუკლა ადამიანის სასტიკმა ქცევამ და ველარ მოითმინა უსამართლობის ცქერა. ჩუმათ მიეპარა მოურავს უკანიდან და სწვდა კუნთებში თავის ბასრი კბილებით და მოურავს სული გაუმწარა. მოურავი სახტათ დარჩა და ველარა მოახერხა-რა, რადგანაც არ მოელოდა ამ მშვიდი ძაღლისაგან ამგვარ ქცევას. რაკი ცხენის წვალებისათვის მოურავზე გულის ბუხარი ამოიყარა, ძაღლი გულ-დამშვიდებული გაემართა თავის ბინისაკენ... როგორა გგონიათ თქვენ? შემთხვევით მოხდა ეს, თუ წინათვე მოფიქრებულის განზრახვით?

ორ ძაღლს მეტათ შესძაგდათ ერთმანეთი. მუდამ დღე შუღლი, განხეთქილება და ერთმანეთის კბენა-ღრენის მეტი აღარა აგონდებოდათ-რა. ერთი ამგვარი თავ-განწირული ჩხუბი იმათ ზღვის ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირას მოუხდათ და ორივე ზღვის ჩახრამულ ნაპირიდან აღელვებულ წყლის ზღვირთებში გადაცვივდენ. გადარჩენა მხოლოთ ცურვით-ღა შეიძლებოდა. ერთი იმათგანი „ვოდოლაზი“ (წყალში მოყურყუმელავე), როგორც ლონიერი და კარგი მცურავი, მალე მივიდა ზღვის კიდესთან და ნაპირზე გამოვიდა. იმან ;;აიბერტყა ტანი და შინ უნდა გაქცეულიყო, ამ დროს უკან მოიხედა და თავისი მტერი საშიშარ მდგომარეობაში დაინახა. ძაღლს ლონე გამოლეოდა, თათების მოსმას ვეღარ აპერხებდა და იხრჩობოდა. ეს რომ დაინახა „ვოდოლაზმა“, ისევ წყალში გადაეშვა, ქეჩოში პირი დასტაცა თავის მტერს და ნაპირზე გამოიყვანა. ამ მოულოდნელ შეველას მოჰყვა გულ-გასაგმირავი მადლობის აღმნიშვნელი სცენა მეორე ძაღლის მხრივ. ამას შემდეგ ორი მოსისხლე მტერი დამეგობრდენ, ერთმანეთს არ შორდებოდენ და არც ერთხელ ჩხუბი აღარ მოსვლიათ. როდესაც „ვოდოლაზი“ ერთხელ ქვებით დატვირთულმა ეაგონმა გაჭყლიტა, იმისი მტერ-მოყვარე ძაღლი მწუხარებისაგან შესაზარის ხმით ყმუოდა და დიდი ხანი მწუხარებაში გაატარა.

თეოფ. კანდელაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოელი და ჩიტები.

(ფრანგულიდან)

ერთი უცხოელი სიდზე გადადიოდა. ამ დროს ხიდის მოაჯირთან ორ პატარა ბავშს მოჭერა თვალი, ერთს ეჭირა გალია, სადაც ხუთი ჩიტი ჭეავდა დამწუვდეული და როგორც ეტეობოდა ჭეიდდა; საბრალო ჩიტები მოუსვენრათ დაფრინავდენ გალიაში და აქეთ-იქით ეჯახებოდენ გალიას, რომ როგორმე თავი გაენთავისუფლებინათ; მაგრამ მაინც ვერას ხდებოდენ და საბრალოთ ჭეივოდენ.

ამ სურათის დანახვაზე უცხოელს სახე მოეჭმუხნა.

—თითოს როგორ აფასებთ? უცბათ დაეკითხა უცხოელი პატარა ბალღებს.

ბავშები შეკრთენ, მათ არ იცოდენ რა ფასათ მიეეიდნათ უცხოელისათვის. ერთმა უჩურჩულა მეორეს: აბაზს დავჯერდებოდი, მაგრამ რაკი უცხოელია მოდი მეტი გაძოვართვათო. და ცოტა ხანს შემდეგ უპასუხა უცხოელს,— ექვს შაურათ, ბატონო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოელი არც კი ეეჭვრა, ამოიღო ქისიდან ფული და ბავშებს გადასცა; გამოართვა ერთი ჩიტი, წამს მოუალერსა მას და უცბათ ხელიდან გაუშვა, თანაც უთხრა:

—გასწი და თავისუფლათ იფრინე, საცოდავო ჩიტუნია! და თან ცაში გაფრენილ ჩიტს სიამოვნებით თვალი გააყოლა.

ამას შემდეგ, იყიდა მეორე ჩიტი და ესეც გაუშვა, მერე მესამე, მეოთხე და მეხუთეც: ასე რომ ყველა ჩიტები გაანთავისუფლა. ბავშები გაოცებულნი შეცქეროდენ.

—რიღასთვის ყიდულობდით ჩიტებს ასე მვირათ, თუ კი არა გსურდათ მათი შენახვაო,—ჩაეკითხენ მგზავრს ბავშები?

—რვა წლის განმავლობაში,—მიუგო უცხოელმა,—უსამართლოთ ვიჯექი ბნელ სატუსაღოში სუფთა ჰაერს და თავისუფლებას მოკლებული, იქ ვიგრძენი რა არის თავისუფლება. სულ იმას ვფიქრობდი, რომ ვისმესთვის თავისუფლება მიმენიჭებია, და აი, ამ ჩიტებზე ავისრულე ჰირველათ ჩემი წადილი. მე მსურდა მათი გაბედნიერება.

ამ სიტყვებზე ბავშებს ცრემლები მოერიათ. შერცხვათ, რომ ამდენი ფული გამოართვეს და მოისურვეს შეცდომის გასწორება. ამიტომაც ორივემ თვალცრემლიანებმა რაც მეტი ფული გამოართვეს უცხოელს დიდის ხვეწნით უკანვე დაუბრუნეს.

სან – იძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი თანასწორი მემკვიდრე.

ერთ ვაჭარს ორი ვაჟი-შვილი ჰყავდა. უფროსი შვილი მამის საუვარელი იყო და ძამაც მთელ თავის ქონებას იმას უმკვიდრებდა.

დედას ეცოდებოდა უმცროსი შვილი და თხოვდა ქმარს დრომდის არ გამოეცხადებინა შვილებისათვის ეს გარემოება: ის ფიქრობდა როგორმე გაეთანასწორებინა შვილები.

ქმარმა შეიწუნარა ცოლის თხოვნა და არ უცხადებდა შვილებს თავის გადაწყვეტილებას.

ერთხელ დედა დალონებული იჯდა თავის სახლში და უმცროსი შვილის ბედსა ტიროდა. ამ დროს იმას ეწვია ერთი იმათი ოჯახის კარგი მეგობარი, ჭკვიანი და განათლებული კაცი. რო შენიშნა ქალის მწუხარება, სტუმარმა იკითხა ამისი მიზეზი.

ქალმა უთხრა:—ორი შვილი გვყავს,—ჩემთვის ორივენი ორივ თვალის ჩინია და ერთი მეორეზე მეტათ საუვარელი. მაგრამ მამა ერთ იმათგანს მთელ თავის ქონებას აძლევს, მეორეს კი—არაფერს. მე ვთხოვე ჩემ ქმარს, რომ ჯერ-ჯერობით არ გააგებინოს შვილებს ეს თავისი სურვილი, სანამ რაიმეს ბოვიფიქრებდე უმცროსი შვილის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშველათ. მაგრამ ვერაფერი მომიგვარებია და ამასა ვტირიო.

—შენ მწუხარებას ადვილათ ეშველება, უთხრა სტუმარმა: გამოუცხადე შვილებს, რომ უფროსი არის თქვენი მემკვიდრე და უმცროსი კი არა; რომ პირველი მამის სიმდიდრეს მიიღებს, ხოლო უმცროსი—არაფერს და მაშინ ორივენი თანასწორები იქნებიან.

უმცროსმა რომ გაიგო, უნაწილოთ და უარარაოთ ვრჩებიო, უცხო ქვეყნებში ვაემგზავრა, იქ სწავლა-განათლება შეითვისა და ხელობა ისწავლა; უფროსი კი მამასთან დარჩა და მარტო განცხრომით ცხოვრებაზე-ღა ჰფიქრობდა, სხვა არაფერზე. სწავლა მეტ ბარგათ მიიჩნია, რადგანაც სიმდიდრე ძალას ატანდა და იმისი იმედი ჰქონდა.

მამა მოუკვდათ. უფროსმა თვის ქონებას მიჰყო ხელი და სულ გაფლანგა, რადგანაც ხელიდან არა გამოუვიდოდა რა და მალეც გაღარიბდა. ამ დროს უმცროსი ძმა უცხო ქვეყანაში ირჯებოდა; თავისი სწავლითა და ხელობით ქონებას იძენდა და მალე მდიდარი კაცი გახდა.

თეოფ. კანდელაკი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერძეკემ მოუტანა თავის მუშტარს რძე, მეიდველმა ჩასხედა ქოთანში და უთხრა:— დალოცვილო, წყალი გენანებოდა, ვერ გაავსებდიო?

ერძეკემ გულწრფელათ უპასუხა:

—უმისოთაც ბევრი ჩავასხი, გემო ალარ ექნებოდა!

ათა! რას აკეთებ?— ჰკითხა ერთმა მეორეს.

— არაფერსო.

—შენ სანდრო?— ჰკითხა ასლა მეორეს

—მეც იმას ვაკეთებ, რასაც დათა.

ლოს უნდოდა თუთიუშთან ბაასი.

—ფრთხილათ იყავი, არ გიკბინოს,— უთხრა ფრინველის პატრონმა.

—მერე რათ მიკბენს?

—იმიტომ რომ არ გიცნობს.

—მაშ რაღას უეურებ გააცანი, ჩემი თავი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წვრილმანი

ხალხური ლექსები

(წარმოდგენილი თ. კანდელაკისაგან)

შაქრო გურგენიძის ნათქვამი

დალოცვილმა მაღლა ღმერთმა
რა საქმე ჩაიდინაო,
ვენახები დაგვისეტყვა,
მეჯერიხევს დადო ბინაო;
ღობესა, ღობის ძირასა
ბავშები შეაჭყვირაო,
ოსებში გადაირბინა,
იქ მოჰკლა ქალი თინაო,
ნიალერები გადმოვარდა,
ვენახებს ჩაურბინაო;
სახლები სულ წყლით აგვივსი,
ქალები აატირაო;
ფერ უმარილი დასველდა
დავკარგეთ პარკით ლილაო.

ეს გურგენიძე სოსიკა გაერია სოფელშია,
ზეკუცია რომ მოვიდა ხარებს მალავს ბოსელშია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახრეები მიაყოლეს გამხმარ კანჭებ-ჩლოქებშია,
ხელი ჰკრეს და გადააგდეს დალაქიანთ ხორგებშია;
შინიდანა კითხულობდა: „არ წავიდნენ ოსებშია“?

მინდვრის ბოლოს რომ მიეედი მომერია ძილი;
წავყავ ჯაგში ცხვირი.
ერთი კაცი მოსულიყო, მოეპარა სტვირი.
ჩემი სტვირის მომპარავსა დაუსივდა ცხვირი.

გ ა მ ო ც ნ ა ნ ე ბ ი

შარავანდედი მოფრინავს ვითა ლამპარი ენთების,
ცეცხლისა ნაპერწკალია აბედს არ მოეკიდების.

(წარმოდგენილი ქართველისაგან).

ის ვინ იყო, პირველათ რომ მიწა შელება წითლათა?
თითონ გავარდა, გავიდა ხეტ-ალებდა ველათა.
სიხარბემ სძლია სიკეთეს გახადა ძმისა მკვლელათა!
თითონ კი სხვისგან მოიკლა რადგან ეჩვენა მგელათა.

იანური, ჭიანური, კისერ კაკა-იანური;
მოიშლება, მოიწყობა არ სწყინდება სიარული.

(ანაგრ.)

(წარმოდგენილი თ. ხუსკივაძისაგან).

ერთსა უცხოსა ყანასა, ‘ბწვანეთ იყო ამოსული.
ჩავყავ ხელი ამოვიღე ეკლით იყო შემოსილი,
თავი მისი შუბლზე ვიკარ, უცხო იყო რამე ხილი,
ვინც ამას ვერ გამოიცნობს ვერა ჭამა ლელვის ჩირი.

თავშეხვეული თათარი გვერდებზე გეხახუნება.

ა ნ დ ა ზ ე ბ ი.

ორი თავ გატეხილი კოდალა ერთმანეთს შესჩივოდენო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ასატურას მიმცემდი, მაშ რაღას მალოდინებდი.

(გურამიანიდან)

სიცოცხლე, აგრეე სიკვდილი ხელთა უპყრია ენასა.
სისხლს დაღვრის უბრალოთასა, აჰყვება ვინც შესმენასა.

ბრძენის ურიგო ქცევისა ბაძით წახდების ერიო.

ჩქარა გამოსათქმელი.

კატა კნავილა ჩხაილა წრუწუნ—წრიპინას აწრუწუნ, აწრიპინ, ახრამუნებდა.

გეოგრაფიული ამოცანა

(წარმოდგენილი ელისო ბარბაქაძისაგან).

აიღეთ საქართველოს ზოგი ერთი მდინარეების სახელების დასაწყისი თითო ასო და შეადგინეთ იმ პირის სახელი, რომლის სახსენებელი ძვირფასია ყოველი რიგიანი ქართველისათვის. დაასახელეთ აბა მდინარეებიც და ის შესანიშნავი პირიც.

უჯრების ამოცანა.

აბა გადასხ გადმოსხით ეს სიტყვების მარცვლები, რომ წაიკითხოთ ის ლექსი, რომელიც ამ უჯრებშია გაფანტვით მოთავსებული.

თა	შენ	მომ	თე	ა	გთხ ოვ	ნა	რა	მა	რე
შუქ	ნა	მან	მთო	ვი	ჩა	რე	მე	რე	ტა
რე	ნა	გა	მთვა	ეხ	გა	ლი	მო	მხა	რე
ა	რე	ვა	ა	გრუ	ძერა	და	და	პა	ა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ ა რ ა დ ა

(წარმოდგენილი თ. კანდელაკისაგან).

პირველათ ადგილს ვუწოდებთ,
სადაც ამოდის წყალია;
ის ხელოვნურათ კეთდება,
მის ძირს ვერ ხედავს თვალია.
მეორე ჰქვია ფრინველსა,
ბაიყუშათა წოდებულს;
იმისი ხმა და შეხედვა
რაღაც ვარამს ჰგვრის კაცის გულს!
მესამე სიტყვის ბოლოა,
აღნიშნავს იმის კნინობას;
ცალკე კი საუბარში თქმით
აღიარებენ თანხმობას.
ორი და ბოლო მარცვალი
საგანს გვაჩვენებს ორგვარსა:
ფუტკრის ბინაა, საკრავიც,
ზარის ხმას აძლევს მთა ბარსა.
მთელი კი ხანსა აღნიშნავს,
ან მამა კაცის ასაკსა;
ყველა დროს, ის დრო ჯობია,
ვერ მოვესწრებით მის გვარსა.

რ ე ბ უ ს ი.

1

ლ ო	შემოკლებული სახელი ივანესი.	10,	რა არ ასცდება კაცს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

100

ქ 10, ა სადა გთესავთ ბურს, ქერს და სხვ...

ყ ს

რძლის მული.

კ ს

დ ა ვინ გაჩინა ქვეყანა.

ს

ო ე

მოჩხუ-ბარი.

დ ს

№ VII გამოცანების ახსნა:

1) ადამი, 2) საცერი, 3) ბზე და ბური, 4) წითელი ღვინით სავსე ჭიქა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეომეტრიული ამოცანა: ორიენ თაბახი ქაღალდიდან მოსჭერით თითო მესამედი ნაწილი როგორც ამ ნახატზეა ნაჩვენები სხვილი ხაზებით. მერე გრძელი ზოლი გაჭყავით ექვს თანასწორ ნაწილათ, გასჭერით სხვილ ხაზებზე და დააწყეთ ნაჭრები

ასე: 1, 2, და 4 და ამათ ქვეშ 5, 6 და 3. ამაზე რომ მეორე თაბახის მონაჭერი დავაფაროთ თანასწორი მოვლენ სივრცით.

ეპიტეზისი: გიჟს ნურც ეტყვი და ნურც ათქმევინებო.

შარადა: 1) ბურვაკი. 2) ბალიში.

რებუსი: ის არის კაცი ყველგან ქებული,
სამშობლო მტრისგან ვინც დაიფარა;
ვინც ცხარე ომში მტარვალის ხელით
უმანკო თვისი სისხლი დაღვარა.

გამოცანები რებუსი და შარადა ახსნა: ქუთაისის სასულ. სასწ. მოსწავლემ მიხ. გ. დეკანოსიძემ და შარადა პროგ. მეორე კლასის მოწაფემ ილია ქიქოძემ. რებუსი გამოცანა და შარადა ოზურგეთში: სასულ. სასწავ. მოსწავლემ გიორ. სიამაიშვილმა. ყვირილაში: ნინო ბარბაქაძემ. ჭიათურაში: დავ. გ. კამკამიძემ. სოფ. ქვიშხეთში: ელენე ციმაკურიძემ.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.